

81.341  
3

Ա. Ե. Քահով

ՀԱՅՈՎ ՀԱՅՈՎ  
ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏ

## ՀԱՅԱՀԱՏՅԱԼՈՒ ԹՈՍԱՅԼՈՒՄ

1926, 1939 ԵԼԵԿՈՒ ԱՂԵԿԱԿՈՒ ԹՈԽԵՑՈՒԹ  
ԷՎ 1959 ԵԼԵԿՈՒ ՏՐԱՎՈՒԹ ՍԱԿԱՎԱՀՈՒԹ  
ԱՂԵԿԱԿՈՒ ԱՅՊԱՅԵՔՈՒ



ՏԵԱՑՑԱՑՄԱՑՑԱՑՈՒՑԱ  
19 տօնութե 58 դ.

372 (222)  
C P U C



# საქართველოს მოსახლეობა

1926, 1939 წლების აღწერების მიხედვით და  
1959 წლის სრულიად საკავშირო აღწერის  
ამოცანები

K 86.341  
3

სტატგამომცემლობა  
19 თბილისი 58 შ.





3/28. გამოშეცემისათვის ლ. ზონია

ცორეჭელობის გ. პალაცი

## I. აღწერაზის ზოგადი მიმოხილვა

ცნობილია, რომ ძველი დროის საქართველოში და მის ცალკეულ კუთხებში, ისევე როგორც რიგ სხვა იმდროინდელ ქვეყნებში, მოსახლეობის აღწერები სხვადასხვა დროს რამდენიმე გრძელი ციფრით ჩატარებული. ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ მაშინდელი აღწერების წინაშე შესაბამისი პერიოდის სახელმწიფო მეთაურების მიერ უაღრესად შეზღუდული ამოცანები ისახებოდა. ძველად წარმოებულ აღწერებისათვის მთავარ ნიშნებს, როგორც წესი, ადამიანთა სულადობის, სექსისა და ასაკის დადგენა წარმოადგენდა, რაც ძირითადად გარეშე მტრებისაგან ქვეყნის თავდაცვის მიზნებიდან გამომდინარეობდა.

გასაბჭოებამდე ჩატარებული აღწერებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რუსთის იმპერიის მოსახლეობის 1897 წლის 9 თებერვლის აღწერა, რომელიც შეეხო საქართველოსაც. აღნიშნული აღწერა ნამდვილად უდიდესი პროგრესული მოვლენა იყო როგორც მაშინდელი რუსეთის, ისე საქართველოს ცხოვრებაში.

საკმაოდ მაღალ მეცნიერულ დონეზე იყო შედგენილი 1897 წლის აღწერის პროგრამა და საორგანიზაციო ეფექტი, რაც აგებული იყო ძირითადად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში წარმოებული აღწერების მიხედვით.

აღწერის შესახებ დებულება მეფის მთავრობის მიერ მიღებული იყო 1895 წლის 5 ივნისს. დებულების თანახმად აღწერის ორგანიზაცია დავალებული ჰქონდა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელიც ამავე დროს თვეულებოდა მთავარი სააღწერო კომისიის თავმჯდომარედ. გარდა ამისა შექმნილი იყო საგუბერნიო, საოლქო, სამაზრო და საოკრუგო კომისიები. საგუბერნიო სააღწერო კომისიის თავმჯდომარეობა დავალებული ჰქონდათ გუბერნატორებს, სამაზრო კომისიისა-მაზრის უფროსებს და ა. შ.

აღწერის წარმოებას იმ დროს, განსაკუთრებით სოფლად, უაღრესად ართულებდა სააღწერო კადრების სიმცირე, მით უმეტეს, რომ მეთის მთავრობას ასეთი საპასუხისმგებლო საქმე მხოლოდ მისთვის სანდო და შემოწმებულ პირთათვის შეეძლო დაევალებია; ამისათვის, აღმწერებად გამოყენებული იყვნენ სამხელო სამსახურს გამოვლილი გარისკაცები, „ნდობით აღჭურვილი“ მასწავლებლები და კულტის მსახურნი.

1897 წლის აღწერის ბლანკი, რომელიც გათვალისწინებული იყო დაახლოებით ათი სული ადამიანის ჩასაწერად (ერთი მეურნეობისათვის, ოჯახისათვის — დროებით მობინადრეთა ჩათვლით), შემდეგ კითხვებს შეიცავდა: გვარი, სახელი და მამის სახელი,

სქესი, დამოკიდებულება ოჯახის უფროსისადმი, ოჯახური მდგომარეობა, წოდება. დაბადების ადგილი, საღაა მიწერილი, ჩვეულებრივ სად ცხოვრობს, აღნიშვნა დროებით წასულთა და დროებით მობინადრეთა შესახებ, სარწმუნოება, დედანა. წერტივთხელი (კოდნა, მოსაქმეობა (მთავარი და დამზარე), სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულება. გარდა აღწერის ბლანკისა იქსებოდა აგრეთვე სხვა დამზარე ფორმულარებიც.

1897 წლის აღწერის ორგანიზაციის ერთ-ერთ თავისებურ დამახასიათებელ ნიშანი უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ აღწერის ბლანკი, როგორც წესი, დგებოდა წინასწარ და ზუსტდებოდა შემდეგ 2-3 დღიანი შემოვლის დროს, აღწერის კრიტიკული მომენტის მდგომარეობის მიხედვით (28 იანვარი ძველი სტილით, ახლით — 9 თებერვალი).

1897 წლის აღწერას ამავე დროს გააჩნდა მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებებიც; მათ შორის მთავარი ისაა, რომ იგი ვერ იძლეოდა სწორ სურათს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესახებ.

როგორც ვიცით, ვ. ი. ლენინმა თავის გენიალურ შრომებში სხვა მდიდარ სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად ფართოდ გამოიყენა და პირადად გადაამუშავა 1897 წლის აღწერის მასალები. კონბილია აგრეთვე, რომ დღით ლენინის მიერ იმდროინდელი რუსეთის იმპერიის მოსახლეობის კლასობრივი შემადგენლობა აღნიშნული მასალების მიხედვით დაახლოებით შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი (მცხოვრებთა რიცხვი—სულადობა):

ა) მსხვილი ბურჟუაზია, შემამულებები, უმაღლესი მოხელეები და სხვა, დაახლოებით.	3 მილ.
ბ) შეძლებული წვრილი მეურნეობი	23,1 "
გ) უდარიბებს წვრილი მეურნეობი	35,8 "
დ) ბროლეტარები და ნახევრად პროლეტარები	63,7 "
სულ, დაახლოებით	125,6 მილ.

აღნიშნული აღწერის მიხედვით საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 1.913,9 ათას სულს შეადგენდა, მათ შორის, ქალაქის მოსახლეობა — 312,2 ათას სულს, ხოლო სოფლის მოსახლეობა — 1.601,7 ათას სულს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჯეროვანი ადგილი დაიკავა სახელმწიფო სტატისტიკამ ქვეყნის მართვისა და სოციალისტური ეკინომიკის განვითარების საქმეში საბჭოთა ხელისუფლების დროს. იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მოსახლეობის აღწერას და მისი მასალების დამუშავებას.

მოსახლეობის აღწერა ითვლება დიდნიშვნელოვან სტატისტიკურ ობერაციად. ამავე დროს, ჩვენს პირობებში იგი წარმოადგენს უდიდეს სახელმწიფოებრივ ღონისძიებას, რომელიც გამომდინარებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყოველდღიური ზრუნვისაგან ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მუდმივად

მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმა-  
ლურად დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად.

კველისათვის ცნობილია, რომ კაპიტალისტური ეკონომიკისა-  
გან განსხვავებით, სადაც ადამიანი გაბატონებული კლისტერი,  
მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფის მიზნით, ზედმეტი ლიტერა-  
ტულებისა და სასტიკი ექსპლოატაციის საგანს წარმოადგენს, ჩვენს  
ქვეყანაში, როგორც ამას ი. ბ. სტალინი გვასწავლიდა, ადამიანი  
ჯველაზე ძირითას კაპიტალიდ ითვლება; იგი არის სოციალისტური  
საზოგადოების მთავარი საწარმოო ძალა და ამავე ღროს შექმნილი  
მარქრიალური ღოვლათის მომხმარებელი.

დღიდა აღწერის მნიშვნელობა ქვეყნის სახალხო მეურნეობის  
გეგმიანობისათვის. ცნობილია, რომ სახელმწიფო გეგმების შედგე-  
ნის იროს პირველყოფლისა ადამიანთა რაოდენობის ცოდნაა საჭი-  
რო— როგორც მთავარი მწარმოებლისა და მომხმარებლისა. იმით  
აიხსნება ისიც, რომ ჩვენთან ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და  
კულტურული მშენებლობის განვითარების შესახებ არსებულ სტა-  
ტისტიკურ მაჩვენებელთა სისტემაში მთავარი აღგილი დემოგრა-  
ფიულ მონაცემებს უჭირავს.

მოსახლეობის აღწერის დიდი პოლიტიკური და სამეურნეო  
შიშვნელობის შესახებ პირველყოფლისა მეტყველებს ის ფაქტი,  
რომ პირველი საყოველთა აღწერა საბჭოთა რუსეთში, 1920  
წელს, დიდი ლენინის ინიციატივით იქნა ჩატარებული. ეს იმას  
ნიშნავს, რომ სამოქალაქო ომების უაღრესად რთულ პირობებშიც  
კი კლადიმირ ილიას-ძე ლენინმა; საჭიროდ და შესაძლებლად სკონ  
ასეთი რთული სტატისტიკური ოპერაციის ჩატარება, თანაც მიუ-  
თითა, რომ აღწერის მონაცემები საფუძვლად დაედებოდა საბჭოთა  
მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში.

1920 წლის აღწერა შესულია სახელმწიფო სტატისტიკის ის-  
ტორიაში როგორც დემოგრაფიულ-პროფესიონალური და სასოფ-  
ტო-სამეურნეო აღწერა. იგი ჩატარებული იყო 28 აგვისტოს მდგო-  
მარებობით. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დეკრეტი აღნიშვნული  
აღწერის ჩატარების შესახებ მიღებულ იქნა 1920 წლის 22 აპრილს  
ვ. ი. ლენინის თავმჯდომარეობით და ხელის მოწერით. აღწერის  
ორგანიზაცია და ჩატარება დაგალებული პქნონდა რსსრ ცენტრა-  
ლურ სტატისტიკურ სამმართველოს და მის აღგილობრივ ორგა-  
ნობებს.

1920 წლის აღწერის პირადი ფურცელი, რომელიც გათვალის-  
წინებული იყო ცალკეული ადამიანის აღწერისათვის, 18 კითხვას  
შეიკვეთდა, მათ შორის: გვარი, სახელი და მამის სახელი, სქესი,  
ასაკი, ეროვნება, დედაება, აღნიშვნა უცხოელთა შესახებ, დაბა-  
დებისა და მუდმივი საცხოვრებელი აღგილები, ოჯახური მდგომა-  
რეობა, წერა-კითხვის მცოდნეობა, განათლების ცენტრი, აღნიშვნა  
1914-17 და 1918-20 წლების ომებში მონაწილეობის შესახებ, აღ-  
ნიშვნები სოფლის მეურნეობის შესახებ, აღნიშვნები დანარჩენი  
სახის მოსაქმეობის შესახებ, რომელ პროფესიას თვლის თავის

სპეციალობად, აღნიშვნები ფიზიკურ ნაკლთა შესახებ, აღნიშვნა  
ფსიქოტრად დაავადებულთა შესახებ.

1922 წლის ნოემბერში ჩატარებული იქნა სრულიად საქართვე-  
ლოს ქალაქადგილების მოსახლეობის აღწერა, ხოლო 1923 წელს  
აგვისტო-სექტემბერში, — სასოფლო-სამეურნეო აღწერა, — საღაც  
გათვალისწინებული იყო აგრეთვე დემოგრაფიული მაჩვენებლებიც.  
ქალაქადგილების აღწერის შედეგები გამოქვეყნებულ იქნა 1923-24  
წლებში, ხოლო სასოფლო-სამეურნეო აღწერის შედეგები საო-  
შო ჯამების სახით გამოქვეყნდა 1925 წელს. დასახელებული აღწე-  
რების შედეგები წარმოადგენდნენ დიდმნიშვნელოვან სტატისტი-  
კურ მასალის ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის მარ-  
თვისა და განვითარების საქმეში. აღნიშნული მასალები დღესაც  
დღი სამსახურს უწევენ როგორც სახელმწიფო სტატისტიკის ორგა-  
ნებს, ისე დანარჩენ მომხმარებლებს, — განსაკუთრებით რესპუბ-  
ლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების ძირი-  
თაღი მაჩვენებლების დინამიკის დადგენის საქმეში.

ჩვენ აქ არ შევხერდებით საქართველოს მოსახლეობის შესახებ  
არსებულ ისეთ მეორეხარისხოვან წყაროებზე, როგორიც იყო 1917  
წლის სასოფლო-სამეურნეო და საადგილმამულო აღწერა, საქართ-  
ველოს ქალაქადგილების 1930 წლის (მსხვილი ქალაქებისა) და 1931  
წლის (დანარჩენი ქალაქადგილების) მოსახლეობის აღრიცხვები. 1917  
წლის აღწერა მაშინდელი არახელსაყრელი პირობების გამო გაგრ-  
ძელდა რამდენიმე თვე (თითქმის მთელი ზაფხულის განმავლობაში),  
მოსახლეობის გაძლიერებული მიმოსვლის პერიოდში არ იყო დაცუ-  
ლი მოსახლეობის აღწერისათვის აუცილებელი კრიტიკული მომენტი  
და ამდენად მისი შედეგებიც ვერ ჩაითვლება სანდო მასალად. რაც  
შეეხება ქალაქადგილების მოსახლეობის 1930 წლისა და 1931  
წლის აღრიცხვებს, ისინა ჩატარებული იქნენ სპეციალური დანიშ-  
ნულებით (კერძოდ, 1931 წლის აღრიცხვა ჩატარებული იყო სა-  
სურსათო ბარათების შემოღებასთან დაკავშირებით) და მათი მასა-  
ლებიც არ იყო სათანადოდ გამოყენებული მოსახლეობის რიცხვ-  
ნობისა და დემოგრაფიული ნიშნების დასაღენად. საბჭოთა საქარ-  
თველოსათვის მაღალ მეცნიერულ დონეზე ორგანიზებულ პირველ  
დემოგრაფიულ აღწერად 1926 წლის აღწერა უნდა ჩაითვალოს.

## II. მოსახლეობის 1926 წლის სრულიად საკავშირო აღწერა და მისი შედეგები

აღნიშნული აღწერისათვის მოსამზადებელი სამუშაოები სსრკ  
კინტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ ჯერ კიდევ  
1924 წელს იქნა დაწყებული. ხოლო, საქართველოში რესპუბლი-  
კის კინტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ აღწერის  
მოსამზადებელი მუშაობა გამლილ იქნა 1926 წლიდან. აღნიშნული  
აღწერის ჩატარების შესახებ გაერთიანებული დადგენილება სსრკ  
კინტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარ-  
თა საბჭოს მიერ მიღებულ იქნა 1926 წლის 3 სექტემბერს.

მოსახლეობის 1926 წლის სრულიად საკავშირო აღწერა ჩატარებული იქნა 17 დეკემბრის მდგომარეობით (პარასკევი). აღნიშნული აღწერის ჯამებში გამოსახულება ჰპოვა ახალგაზრდა სატრიუსახელმწიფოს წარმატებებმა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების მიერ დაზარალებული ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღგენისა და მისახლეობის მატერიალური მდგომარეობის დონის ამაღლების საქმეში. ამავე დროს აღწერის ჯამები საფუძლად დაედო სოციალიზმის შენებლობის პირველ ხუთწლიან გეგმას.

1926 წლის აღწერის პროგრამა აგებული იყო მოსახლეობის მაშინდელი საზოგადოებრივი მდგომარეობისა და იმ ძირითადი დემოგრაფიული ნაშენების გათვალისწინებით, რომელთა ცოდნაც იმ დროისათვის აუცილებლობას წარმოადგენდა კომუნისტური პარტიისა და ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ქვეყნის მართვისა და სოციალისტური შენებლობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

აღწერის ბლანკი (პირადი ფურცელი-ნათარგმნი იყო „პირადობის ბარათად“) ითვალისწინებდა 15 კითხვას, მათ შორის: 1. ჯარი, სახელი და მამის სახელი, 2. სქესი, 3. წლოვანება, 4. ეროვნება, 5. დედაენა, 6. სად დაიბადა, 7. რამდენი ხანი, რაც მუდმივად ცხოვრობს აქ, 8. ოჯახური მდგომარეობა, 9. წერა-კითხვის ცოდნა, 10. რა ფიზიკური ნაკლი აქვს, ან მძიმე დასახიჩრება, 11. რა ფსიქოტრინი ნაკლი აქვს, 12. მოსაქმეობა, მდგომარეობა მოსაქმეობაში და შროშის დარჩი. მე-13,14 და 15 კითხვები შეეხებოდნენ დაწვრილებით პასუხებ უმუშევართა შესახებ, იმ პირთა შესახებ, რომელთაც არ ჰქონდათ მოსაქმეობა და ცხოვრობდნენ სხვის ხარჯზე. კითხვაზე მოსაქმეობის შესახებ გათვალისწინებული იყო აგრეთვე აღნიშვნა იმ პირთა მიმართ, რომლებიც სარგებლობდნენ დაქირავებული წრომით.

1926 წლის აღწერის პროგრამისათვის მთელ რიგ სხვა თავისებურებებთან ერთად ასანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაკითხვის თურივილი არ ითვალისწინებდა განათლების დონეს (ცენზი) და კმაყოფილდებოდა პასუხით წერა-კითხვის ცოდნის შესახებ (რომელ ენებზე იცის წერაც და კითხვაც.... მხოლოდ კითხვა....., თუ სრულიად არ იცის წერა-კითხვა...).

1926 წლის აღწერისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ისიც, რომ დაკითხვის ფურცელთან ერთად, რაც იქსებოდა თითოეულ აღამიანზე ცალკე და გათვალისწინებული იყო ხელით დამუშავებისათვის, დგებოდა საოჯახო ბარათი და სახლმფლობელობის უწყისი საჭმალ ვრცელი პროგრამით. ეს ორი დამატებითი ფორმულარი, გარდა კრებასითი მაჩვენებლებისა, ითვალისწინებლენ საბინაო-კომუნალური პირობების, საცხოვრებელი შენობის და დამზარე ნაგებობათა დეტალურ დახასიათებას.

1926 წლის აღწერის მასალების დამუშავება გრძელდებოდა 3-4 წლის მანძილზე. დამუშავებულ და გამოქვეყნებულ იქნა ყველა ძირითადი ჯამები 56 ტომად. დამუშავების შედეგების გამოკვეყნება ძირითად 1932 წელს დამთავრდა.

გაფიხსენოთ ზოგიერთი დამახასიათებელი მონაცემები მოსახლეობის 1926 წლის აღწერის ჯამში და.

1926 წლის აღწერით საქართველოს მოსახლეობა იმდროინდელ საზღვრებში 2.667 ათას კაცს შეადგენდა.

ყურადღებას იმსახურებს ქალთა ხვედრითი წონა 1926-წლის აღწერის მიხედვით: ყოველ ათას მამაკაცზე საქართველოში 978 დედაკაცი მოდიოდა: აფხაზეთში — 927, აჭარაში — 897, სამხრეთ-ისეთში — 918 (საბჭოთა კავშირში მაშინ ათას მამაკაცზე 1069) რედაფარი მოდიოდა, მათ შორის: რუსეთში — 1094, უკრაინაში — 1059, ბელორუსიაში — 1043, ხოლო უზბეკისტანსა და თურქეთისტანში — 885). კერძოდ ქართველებს შორის, ჩესპუბლიკაში, ათას მამაკაცზე 995 ქალი ირიცხებოდა, სომხებს შორის — 972, თურქეთში — 924, რუსებში — 1.098, აფხაზებში — 953, ასებს შორის — 913.

დღევანდელი მკითხველისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, გარევეულ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს საქართველოს 1926 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაჯოფა. ამისათვის მიზანშეწონილად ვცნობთ, ცნობები მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ მოვათავსოთ მაშინდელი მაზრებისა და ქალაქების მიხედვით.

ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით მოსახლეობის განაწილება შემდეგ სურათს იძლეოდა — ათასობით:

აფხაზეთის ასტა — 201, აჭარის ასტა — 132, სამხრეთ-ისეთის ა. ო. — 87, ახალქალაქის მაზრა — 79, ახალციხის — 97, ბორჩალოს — 87, გორის — 207, დუშეთის — 63, ზემო-სვანეთის — 11, ზეუგდიდის — 130, თელავის — 105, ლეჩეუმის — 48, ოზურვეთის — 113, რაჭის — 66, სენაკის — 126, სიღნაღის — 158, ტფილის — 453, ქუთაისის — 297, შორაპნის — 192 და ფოთის რაიონისა, რომელიც დამოუკიდებლად არსებობდა — 14.

1926 წლის საქართველოში 26 ქალაქი და 16 დაბა (ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილი) ითვლებოდა. მათი მოსახლეობა მთლიანად 594 ათასს შეადგენდა. მათ შორის — ათასობით:

#### ქალაქები:

ახალქალაქი	3,5	სენაკი	5,5
ახალციხე	12,3	სიონიალი	4,9
ბათომი	48,5	სოხუმი	21,6
ბორჯომი	5,4	ტფილისი	49,0
გორი	10,5	ფოთი	13,1
გუდაუთი	3,5	ქუთაისი	48,2
დუშეთი	2,1	შაუმიანი	5,6
ზესტაფონი	5,4	ცხინვალი	5,8
ზუგდიდი	5,6	ჭიათურა	4,4
თელავი	9,7	ხაშური	7,8
ლიუქსემბურგი	5,7	ხონი	9,0
ოზურგეთი	5,9	სამტრედა	13,7
ონი	2,9	ოჩამჩირე	3,4



აბასთუმანი	1,2	საჩხერე	2,8
ბაკურიანი	0,8	სურამი	4,6
გაგრა	3,7	ტყიბული	1,0
გელისციხე	5,9	ქობულეთი	1,9
ლაგოდეხი	1,6	ყულები	0,9
ლანჩხუთი	3,7	ჩიარი	1,4
მანგლისი	2,9	წალევრი	1,4
მცხეთა	1,5	ცაგერი	1,9

გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს ცნობები მოსახლეობის სიმჭიდროვის შესახებ მაშინდელი აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. საქართველოში მცხოვრებთა რიცხვმა ერთ კვადრატულ კილომეტრზე 39 სული შეადგინა, (აზერბაიჯანში — 27, სომხეთში — 28, ხოლო მთლიანად საბჭოთა კავშირში — 7 სული. კერძოდ, სოფლის მოსახლეობის სიმჭიდროვე საქართველოში 30 სულს უდრიდა, საბჭოთა კავშირში — 6 სულს).

კალაგული აღმინისტრაციული ერთეულების მიხედვით სიმჭიდროვის მაჩვენებლები შემდეგ სურათს იძლეოდა: აფხაზეთი — 25 სული, აჭარა — 51, სამხრეთ-ოსეთი — 24, ახალქალაქის მაზრა — 29, ახალციხის — 37, ბორჩალოს — 29, ზემო-სვანეთის — 4, გორის — 44, ღორშეთის — 15, ზუგდიდის — 51, ქუთაისის — 85, ლეჩესუმის — 21, ოზურგეთის — 57, რაჭის — 28, სენაკის (ფოთის რაობის ჩათვლით) — 68, სიღნაღის — 26, თელავის — 24, ტფილისის — 75, შორაპნის — 70 სული.

აქედან ჩანს, რომ ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებულ აღგილებად 1926 წლის აღწერის ცნობებით ქუთაისის, თბილისისა და ცხრაპნის მაზრები ითვლებოდნენ; მომდევნო აღგილები სენაკის, ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრებს ეკავათ. თბილისის მაზრის დასახლების სიმჭიდროვეზე გარკვეულ გავლენას ქალაქის მოსახლეობა ახდენდა, რომელთა გარეშეც ერთ კვ. კილომეტრზე 26 ტყითი მოდიოდა.

დასახლებულ აღგილთა რიცხვი შემინ საქართველოში 4.733 უდრიდა, აქედან ქალაქადგილები — 42, სოფელადგილები — 4.691. სოფელადგილთა შორის 10 სოფლის მოსახლეობა დაახლოებით 5-10 ათას სულს უდრიდა (ანაგა — 5.051, გურჯაანი — 6.410, რიდა-ჭიხაიში — 6.582, გარდანახი — 5.789, კულაში — 6.562, მარტყოფი — 5.068, ყვარელი — 5.571, საგარეჯო — 5.625, ფარც-ნაყანები — 5.435, შილდა — 5.158), ხოლო 72 სოფლიდან თითო-ეულის მოსახლეობა 20 სულს არ აღემატებოდა.

1926 წლის აღწერის პირად ფურცელში და ინსტრუქციაში წინა აღწერებისაგან განსხვავებით თავისებურად იყო დაყენებული საკითხი ეროვნების შესახებ. მაგ., თუ 1920 წ. აღწერის დროს სააღწერო ფურცლის კარნაბში ეროვნების შესახებ — ჩაწერილი იყო „национальность“ 1926 წლის აღწერის პირად ფურცელში ნაჩვენები იყო „народность“. რუსული გამოთქმის მიხედვით პირველი უფრო ფართო მცხებაა, ვიდრე მეორე, ქართულ ენზე კი, სამწუხაოლო,

ვერ იყო გამონახული შესაფერისი თარგმანი და „народность“ ხათარგმნი იყო ეროვნებად, რაც ამ შემთხვევაში არ ემთხვევა რუსული სიტყვის გაგებას და, ჩვენი აზრით, ასახავს მცნება „народность“ — ის შინაარსს. 1926 წლის აღწერის დროს სიტყვა „народность“ — ის კარნაჟით ნაგულისხმევი იყო მოსახლეობის შემადგენლობის შესწაულა არა ძირითადი ეროვნებების მიხედვით, რასაც ჩვენ „ეროვნებას“ ვეძახით, არამედ ტომობრივი, ეთნიური მაჩვენებლების მიხედვით. ასეთივე მითითებებს იძლეოდა აღწერის ინსტრუქციაც. ამით იყო გამოწვეული ის, რომ 1926 წლის აღწერის დროს ეროვნებათა კლასიფიკაციაში პირობით შეტანილი იყო „მეგრელი“, „სვანი“, „აჭარელი“ და სხვა, ოვითდასახელების პრინციპის მიხედვით. აღწერის მასალების პირველადი დამუშავებაც შესაბამისი შესით ჩატარდა. ოვითდასახელების პრინციპის გამო აღწერის მასალებში ეროვნების შესახებ ხშირად ვხვდებოდით ჩანაწერებს არა მარტო მეგრელების, აჭარლებისა და სვანების შესახებ, რომლებიც იგივე ქართველები არიან და ცალკე ეროვნებას არ წარმოადგენენ, არამედ რაჭელების, იმერლების, კახელების, თუშების, ხევსურების და ქართველთა დანარჩენ ჯვეულთა შესახებაც. თუ გავითვალისწინებთ, რომ ოვითდასახელების პრინციპის ცრის მეგრელების, სვანების, ლაზებისა და აჭარლების ნაწილი თავის ეროვნებათ ჩვეულებისამებრ „ქართველს“ დაასახელებდა, მათ შესახებ 1926 წლის აღწერას არ შეეძლო მოეცა სწორი სურათი (აჭარლად თავი აჩვენა 71.390, მეგრელად — 242.249, ლაზად — 639, სვანად — 13.158 — ქართველმა).

ეროვნებათა მიხედვით საქართველოს მოსახლეობა შემდეგნაირად ნაწილდებოდა — ათასობით:

აბსოლ. რიცხვი	% —
ქართველები	1778,2
სომხები	307,0
აზერბაიჯანელი თურქები	137,9
აფხაზები	56,8
ოსები	113,3
რუსები	96,1
ბერძნები	54,1
ებრაელები	30,5
დანარჩენი ეროვნებანი	60,3

(ებრაელთა რიცხვში 20,6 ათასი ქართველი ებრაელი ითვლებოდა).

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ქალაქისა და სოფელიდების მიხედვით შემდეგ სურათს იძლეოდა — პროცენტებში:

სოფლიად	ქალაქიად
ქართველები	84,0
სომხები	51,3
აზერბაიჯან. თურქები	95,2
რუსები	27,0
აფხაზები	95,5



რსები	95,5	4,5
ქართველები ებრაელები	27,1	72,9
დანარჩენი ებრაელები	6,4	93,6
უკრაინელები	34,4	65,6
ბეჭედნები	83,6	16,4
გერმანელები	41,8	58,2
დანარჩენი ეროვნებები	56,5	43,5

გარეკიული ინტერესს წარმოადგენს რესპუბლიკის დედაქალაქის თბილისის (1926 წელში ტფილისად იწოდებოდა) მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. 1926 წლის აღწერის ცნობებით ქალაქ თბილისში სულ აღრიცხული იყო 70-მდე ეროვნება, მათ შორის: ქართველები — 112.206, სომხები — 100.148, რუსები — 45.937, უკრაინელები — 1.485, პოლონელები — 1.775, გერმანელები — 3.156, ბერძნები — 1.402, ებრაელები — 8.962, (დათ შორის ქართველი ებრაელი — 3.160), თათრები — 486, აისორები — 1.861, ოსები — 2.890, ქურთები 458, იეზიდები — 2.044, სპარსელები — 765, თურქები — 5.836 და სხვა. უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქნება მოცემული. ცნობები ქ. თბილისის შესახებ.

1926 წლის აღწერით ქართველების რიცხვი მთლიანად სსრ კავშირში 1820,9 ათას კაცს შეადგენდა, მათ შორის საქართველოზე 98,2 პროცენტი მოდიოდა. სომხები მთელ კავშირში იმ დროს ითვლებოდნენ — 1.567,5 ათასი; მათ შორის სომხეთზე მოდიოდა 47,3 პროცენტი; აზერბაიჯანელების რიცხვი კავშირში 1706,4 ათასს შეადგენდა, მათგან აზერბაიჯანზე 84,3 პროცენტი მოდიოდა.

ინტერესს მოკლებული არ იქნება თუ დავასახელებთ ცალკეულ ეროვნებათა ზრდის მაჩვენებლებს 1897 წელთან შედარებით:

	1926 წ. %	1897 წელთან
რუსები	143	
უკრაინელები	154	
ბელორუსები	133	
პოლონელები	147	
ქურთები და იეზიდები	180	
ქართველები	137	
სომხები და ხემშინები	147	
ოსები	159	
ციგნები და ბოშები	189	
ტალიშები	218	
ლიტველები, და უმუდრები	230	
უმუდრები	208	
ლატიშები	141	
ბერძნები	120	
გერმანელები	106	
ებრაელები		

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პირადი ფურცლის სათანადო კითხვის პასუხს დედაენის მიხედვით, რომელიც ხშირად არ ემთხვევა ძირითადი ეროვნების ენას (ამ კითხვაზე 1926 წლის აღწერის ინსტრუქცია შემდეგ განმარტებას იძლეოდა: „დედაენად ითვლება ის ენა, რომელიც დაკითხულმა პირმა ყველაზე უკეთ იცის, ან რომელზედაც ის ჩვეულებრივ ლაპარაკობს“).

საქართველოს მოსახლეობის განაწილება ეროვნებისა და და-  
დაენის მიხედვით 1926 წ. აღწერის ცნობების თანახმად შემდეგ  
სურათს იძლეოდა, პროცენტებში:

	სოფლად	ქალაქად	სულ
1. ქართველები ქართ. დედაენით	72,9	49,0	67,2
2. სომხები სომხ. დედაენით	74,6	56,0	70,5
3. თურქები თურქ. დედაენით	7,6	25,6	11,6
4. აფხაზები აფხაზ. დედაენით	5,5	19,5	8,6
5. ოსები ოსური დედაენით	6,4	1,1	5,2
6. რუსები რუსული დედაენით	8,2	1,3	6,7
7. ებრაელები ებრ. დედაენით	2,6	0,4	2,1
8. ბერძნები ბერძნ. დედაენით	2,2	0,4	1,8
	5,3	0,9	4,3
	5,1	0,7	4,1
	1,3	12,0	3,6
	1,5	15,0	4,5
	0,3	4,2	1,2
	0,0	0,7	0,2
	2,2	1,5	2,5
	1,4	2,0	1,5

დასახელებული მაჩვენებლები საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ქართულ ენაზე მოლაპარაკენი საქართველოში გაცილებით მეტი ყოფილია (70,5%), ვიდრე თვით ქართველები (67,2%); ასეთი- ვე სურათს აქვს ადგილი რუსულ და აზერბაიჯანულ (თურქულ) ენათა შესახებაც: — ამ ენაზე მოლაპარაკენი მეტი იყო, ვიდრე თვით ამ ეროვნებათა მატარებლები. ჩაც შეეხება სომხებს, აფხაზებს, ოსებს, ებრაელებსა და ბერძნებს მათ საგრძნობ ნაწილს დედაენად 1926 წლის აღწერის დროს სხვა ეროვნებათა ენები უჩვენებია.

1926 წლის აღწერით 1788,2 ათასი ქართველიდან თავის დე-  
დაენად ქართული ენა მიიჩნია 99,0%, თურქული — 0,7%, რუსუ-  
ლი — 0,1%; 307 ათასი სომეხიდან დედაენად სომხური მხოლოდ  
73,2% მიიჩნია, ქართული — 24,1%, რუსული — 1,7%, თურქუ-  
ლი — 0,9%; 56,8 ათასი აფხაზიდან დედაენად აფხაზური 84,0%  
დასახელა, ქართული ენა 15,7% და ა. შ.

1926 წლის აღწერის პროგრამის ერთ-ერთ ძირითად კითხვას შერა-კითხვის მცოდნეობა წარმოადგენდა — ეს მით უფრო, რომ მაშინ ჯერ კიორე საგრძნობი ადგილი ეჭირა წერა-კითხვის უცვლი-  
ნარობას და ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მისი ლიკ-  
ვიდაცია საბრძოლო იმოცანას წარმოადგენდა. წერა-კითხვის მცოდ-  
ნეთა რიცხვი მაშინ საქართველოში რესპუბლიკის მთელი მოსახლე-  
ობის შიმართ 36,7% შეადგენდა (აზერბაიჯანში — 8,4%, სომხეთ-  
ში — 25,2%); ხოლო თუ შევუფარდებო წერა-კითხვის მცოდნეთა  
რიცხვს ხუთი წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობას (როგორც  
ეს მიღებული იყო 1926 წლის აღწერის დროს, რადგანაც 5 წლის  
ასაშიდაც გვხვდებოდენ წერა-კითხვის მცოდნენი), წერა-კითხვის  
მცოდნეთა რიცხვი რესპუბლიკაში 43,1% შეადგენდა, მათ შორის  
ქალაქად — 72%, სოფლად — 34,4%.

აღნიშნული ასაკის მოსახლეობაში წერა-კითხვის მცოდნეობა  
რაცხვი, რესპუბლიკის ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების  
მიხედვით, შემდეგ სურათს იძლეოდა — პროცენტებში:

	ქალაქად	სოფლად	სულ
აფხაზეთის ასარ	69,6	25,7	83,0
აჭარის ასარ	68,0	12,6	34,8
სამხრეთ ოსეთის ა. ი.	55,3	15,9	18,6
ახალქალაქის მაზრა	66,2	20,4	22,6
ახალციხის	66,6	7,7	16,7
ბორჯომის	59,6	9,2	16,0
ზემო-სვანეთის	—	22,3	23,3
გორის	68,6	35,0	40,1
ლუშეთის	78,5	22,5	24,5
ზუგდიდის	65,7	33,6	35,0
ქუთაისის	70,8	42,8	49,7
ლეჩხემის	55,7	34,8	35,7
ოზურგეთის	73,4	62,1	63,1
რაჭის	65,4	55,5	56,0
სენაკის	76,2	46,5	47,8
სიღნაღის	69,8	40,4	42,8
თელავის	76,6	40,9	44,4
შორაპნის	78,9	43,1	45,8
ფოთის რაიონი	71,3	61,5	71,1

მამაკაცებში წერა-კითხვის მცოდნეობის პროცენტი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე დედაკაცებში. მთლიანად რესპუბლიკაში მამაკაცებში 50,2 პროცენტი იყო წერა-კითხვის მცოდნე (ქალაქად — 76,9%, სოფლად — 41,9%), დედაკაცები კი — 35,9% (ქალაქად — 66,9%, სოფლად — 26, 6%).

ინტერესს მოკლებული არ იქნება აგრეთვე თუ დავასახელებთ რესპუბლიკის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის მაჩვენებლებს სქესის მიხედვით — ათასობით:

სულ მოსახლეობა	მამრობითი	მდედრობითი:
გათ შორის:	1.347,5	1.319,0
1 წლის მდებარეობა:		
1 წლის	42,9	40,4
2	35,7	34,2
3	44,0	43,0
4	41,4	41,1
5	36,9	35,8
6	36,9	34,2
7	35,8	34,7
8	34,3	32,4
9	35,7	33,5
10	25,0	23,2
11	36,1	32,8
12	23,2	21,3
13	41,5	37,6
14	30,9	30,1
15	29,2	28,6
16	30,8	30,3
17	27,0	28,4
18	24,0	24,9
	28,3	31,4

10	წლის	17,0	17,7
20-24	"	117,2	114,1
25-29	"	99,1	107,6
30-39	"	164,8	166,0
40-49	"	113,6	99,9
50-59	"	80,7	78,8
60 წლისა და უფროსი		115,0	116,5

ყურადღებას იმსახურებს ცალკეული ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის ხედიდანთი წონები. ნორმალური სტრუქტურის ღროს უმცროსი ასაკის მოსახლეობა მეტი უნდა იყოს, ვიდრე უფროსი ასაკის მცხოვრებთა რიცხვი; აქ კი მთელ რიგ შემთხვევებში შებრუნებულ სურათს აქვს ადგილი. მაგალითად, 9-11 წლის ასაკის მოსახლეობა (151,6 ათასი) ნაკლებია 12-14 წლის ასაკის მოსახლეობისაზე (197,9 ათასი), ეს ძირითადად იმით იხსნება, რომ 9-11 წლის ასაკის მოზარდების დაბადება ემთხვევა 1-ლ იმპერიალისტურ იმში მამაკაცების გაწვევის პერიოდს, რასაც არ შეეძლო თავისი უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის დონეზე. რაც შეეხება ბავშვების რიცხვს ერთი წლის ასაკამდე (83,3 ათასი, მათ შორის ვაჟები—42,9, გოგონები—40,4), აგრეთვე 1-4 წლიან ბავშვთა რაოდენობას, მათი რიცხვი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ 1-ლი იმპერიალისტური ომისა და მის მომდევნო წლებში ვაჟები გაცილებით მეტი იბადებოდნენ, ვიდრე გოგონები; გარდა მისა, დაბადებულთა ყოველწლიური რიცხვი 1922-1926 წლებში დაახლოებით 90-100 ათას შეადგენდა (შესაბამისი ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის სავარაუდო კოეფიციენტის გათვალისწინებით), რაც 35-36 დაბადების შემთხვევას შეადგენს კველა 1.000 მცხოვრებზე.

ძალზე საინტერესოა 1926 წლის ოღწერის მასალების დამუშავების შედეგები მოსახლეობის მოსაქმეობაში მდგომარეობისა (საზოგადოებრივი ჯგუფები) და სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით განაწილების შესახებ. აქვე უნდა დავძინოთ, რომ დემოგრაფიული ოღწერების დროს კველაზე რთულ და საპასუხისმგებლო ნაწილს როგორც სააღწერო ფურცლის შედგენის, ისე შევსებული მასალის კრიტიკისა და დამუშავების მხრივ, — მოსაქმეობა წარმოადგენს. ამ ამბავს ართულებს ისიც, რომ საქმე გვაქვს მოსაქმეობის მრავალფეროვან კლასიფიკაციასთან და პროფესიათა სიმრავლესთან: ამდენად, ონიშობული კითხვის შესახებ ცნობების ჩაწერა და დამუშავება მოითხოვს ოღწერის პერიონალის მაღალ კვალიფიკაციას და განსაკუთრებულ ყურადღებას.

აქ ჩვენ არ შევჩერდებით მოსახლეობის განაწილებაზე მოსაქმეობათ (პროფესიების, სამუშაოს სახის) მიხედვით და დავკმაყოფილდებით მხოლოდ საზოგადოებრივი ჯგუფებისა (მდგომარეობა მოსაქმეობაში) და სახალხო მეურნეობის დარგების შესახებ ძრებული კრებსითი მაჩვენებლებით.

1926 წლის ოღწერის კლასიფიკაციის თანახმად მოსახლეობა ნაწილდებოდა შემდეგ საზოგადოებრივ ჯგუფებად: მუშები, მოსამ-

სახურენი, თავისუფალი პროფესიის პირი, პატრონები დაქირავებული შრომით, პატრონები დაქირავებული შრომის გარეშე (არ ვებული შრომით, პატრონების ჩათვლით), მარტოხელები, მოსაქმეობაში დამხარე თვალის წევრები, პირი, რომელთაც არა აქვთ ან არ დაუსახლებიათ მოსაქმეობა, უმუშევრები, სამხედრონი.

გარდა საზოგადოებრივი ჯგუფებისა, მოსახლეობა იყოფოდა აგრეთვე ორ დიდ ჯგუფად: თვითმოქმედნი და არა თვითმოქმედნი. თვითმოქმედთა ჯგუფს მიეკუთვნებოდენ ყველა ის პირი, რომელთაც ჰქონდათ მოსაქმეობა ან შემოსავლის სხვა დამოუკიდებელი წყარო, — სტიპენდიატების, პენსიონერების, სამხედროებისა და თვალის დამხმარე წევრთა ჩათვლით. ბავშვები 10 წლამდე, აგრეთვე დანარჩენი სარჩენები არა თვითმოქმედთა ჯგუფს მიეკუთვნებოდა.

1926 წლის აღწერის მასალების დასამუშავებლად დადგენილი იყო სახალხო მეურნეობის დარგების შემდეგი კლასიფიკაცია: სოფლის მეურნეობა, საქარხნო - საფაბრიკო მრეწველობა, შინა და ხელოსნური მრეწველობა, მშენებლობა, რკინიგზის ტრანსპორტი, ტრანსპორტის დანარჩენი დარგები, ვაჭრობა და კრედიტი, დაწესებულებები, დანარჩენი დარგები.

რეაპუბლიკის მოსახლეობის განაწილება საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით შემდეგ სურათს იძლეოდა — ათასობით:

	თვითმოქმედნი:		არათვითმოქმედნი:	
	მამრ. მდედრ.		მამრ. მდედრ.	
ა) მუშები	60,6	6,6	38,0	76,8
ბ) მოსამსახურენი	53,4	21,1	40,8	87,5
გ) თავისუფ. პროფ. პირი	1,9	0,8	1,3	2,9
დ) პატრონები დაქ. შრომით	14,2	3,7	16,4	27,7
ე) პატრ. დაქ. შრომ. გარეშე	242,9	13,9	276,5	427,0
ვ) მარტოხელები	144,5	14,3	149,6	298,9
ზ) მოსაქმეობაში დამზ. თვალის წევრები	231,7	287,1	—	—
თ) პირი, რომელთაც არა აქვთ ან არ დაუსახელებიათ მოსაქმეობა	16,9	13,4	7,3	13,0
ი) უმუშევრები	9,6	3,7	3,7	8,4
კ) სამხედრონი	25,1	0,0	1,0	3,2

ზემოთ მოცემული ცხრილის ქვემდებარები ჩამოთვლილია ათი საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელთა მიმართაც დასახელებულია თვითმოქმედნი და არა თვითმოქმედნი სქესის მიხედვით. ერთი შეხედვით გაუგებარი ხდება, როგორ შეიძლება, მაგალითად, მუშები ან მოსამსახურები იყვნენ არა თვითმოქმედნი. ამისათვის საჭიროა გავთვალისწინოთ, რომ თვით მუშები და მოსამსახურები თვითმოქმედთა ჩიცხვს ეკუთვნიან, ხოლო მათ კმაყოფაზე მყოფნი კი, შესაბამისად, მუშებისა და მოსამსახურების საზოგადოებრივი ჯგუფის არათვითმოქმედთა რიცხვს; ასევე იგულისმება დანარჩენი საზოგადოებრივი ჯგუფების მიმართაც.

1926 წლის აღწერის პროგრამით გათვალისწინებული იყო კით-

ხვა ოჯახური მდგომარეობის შესახებ. აღწერის მასალების დაზუძნება ამ კითხვის მიხედვით შეეხო როგორც მამაკაცებს, ისე დადაქცებს 15 წლის ასაკის ზემოთ. აღწერის ინსტრუქციის შესაბამისად ოჯახური მდგომარეობის შესახებ გათვალისწინებული დოკუმენტები პასუხი: უცოლო ან გაუთხოვარი, ცოლიანი ან ქმრისანი, ქრისტიანი, გაცილებული. აღნიშნული კითხვის მიხედვით ჩესკუბლიკის 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა შემდეგი სახით ნაწილდებოდა — ათასობით:

1	2	მ ა თ შ ი რ ი ს				
		მ/წ	განერაცია/წ	წლები/წ	ნა	ქვე
		3	4	5	6	

მამაკაცები 15 წლისა და უფრო-  
სი ასაკის

აქედან: 15—19 წლისა

20—24	117,2	78,6	36,9	0,6	0,3
25—29	99,1	81,0	66,5	0,7	0,3
30—34	85,2	11,0	72,4	1,1	0,3
35—39	79,6	5,4	72,2	1,4	0,2
40—44	64,7	3,0	59,5	1,7	0,3
45—49	48,9	1,9	44,8	1,8	0,2
50—54	44,8	1,9	40,1	2,5	0,1
55—59	35,9	1,2	31,8	2,6	0,1
60—64	41,4	1,5	34,9	4,9	0,1
65—69	19,7	0,6	15,9	3,0	0,0
70 წლისა და უფრ.	53,9	2,0	37,0	14,5	0,1

დედაკაცები 15 წლისა და უფ-

როსი ასაკის

აქედან 15—19 წლის

20—24	114,1	26,3	84,9	1,6	0,7
25—29	107,5	10,1	92,3	3,7	1,0
30—34	90,7	4,3	78,0	7,2	0,8
35—39	75,2	2,6	63,2	8,5	0,5
40—44	62,1	2,2	47,0	11,7	0,4
45—49	37,8	1,3	27,0	9,1	0,2
50—54	46,2	1,2	29,6	14,9	0,2
55—59	32,6	0,7	19,6	12,0	0,1
60—64	47,9	1,0	20,1	26,4	0,1
65—69	16,1	0,4	6,1	9,5	0,0
70 წლისა და უფრ.	52,5	1,1	12,5	38,4	0,1

(აღნიშნული ცხრილით სარგებლობის ღროს გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ მეორე სვეტის მონაცემი გარკვეული ოდენობით აღმენტება 3-6 სვეტების მონაცემთა ჯამს იმ პირთა ხარჯზე, რომელთა მიმართ ოჯახური მდგომარეობის შესახებ არ იყო გაცემული გარკვეული პასუხი).

1926 წლის აღწერის პირად ფურცელში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა აგრეთვე კითხვებს ფიზიკური ნაკლის (დასახიჩრებათა) და სულით დაავალებულთა შესახებ. აღნიშნულ კითხვაზე გაცემუ-

ლი პასუხის საფუძველზე დაღენილი ფიზიკური ნაკლის მქონეთა  
და სულით ავადმყოფთა რიცხვი, ცალკეული სახეების მიხედვით  
შემდეგ სურათს იძლევა:

	მამაკაცი	დედაკაცი
სულ დასახიჩრებული და სუ-	6753	3721
ლით ავადმყოფი		
მთ შორის:		
უსინათლონი	1151	1028
გ. შ. დაბადებით	129	92
ყრუ-მუნჯი	623	468
კიდურების სიდამბლით	1028	734
ერთი ხელის უქონლობით	756	174
ორი ხელის უქონლობით	23	4
ერთი ფეხის უქონლობით	867	246
ორი ფეხის უქონლობით	208	62
სულით ავადმყოფი	2097	1005
გ. შ. დაბადებით	352	185

ასეთია საქართველოს მოსახლეობის ძირითადი მაჩვენებლების შოკლე მიმოხილვა 1926 წლის აღწერის შედეგების მიხედვით.

ქვემოთ შევეხებით მოსახლეობის 1939 წლის სრულიად საკავშირო აღწერის მოკლე დახასიათებას და მისი მასალების დამუშავების ძირითად მაჩვენებლებს.

### III. მოსახლეობის 1939 წლის სრულიად საკავშირო აღწერა და მისი შედეგები

1926 წლის შემდეგ საკავშირო აღწერა 1937 წელს ჩატარდა — 6 იანვრის მდგომარეობით. მაგრამ, მისი გამო, რომ დარღვეული აღმოჩნდა მთავრობის მიერ დამტკიცებული აღწერის საორგანიზაციო გეგმა, რამაც გამოიწვია ცნობების დამახინება და აღურიცხველობა, აღწერის შედეგები გაუქმებულად იყო გამოცხადებული და მოსახლეობის მორიგი სრულიად საკავშირო აღწერა ჩატარებულ იქნა 1939 წელს 17 იანვრის მდგომარეობით.

მოსახლეობის 1939 წლის აღწერის მასალებში ნათელი გამოხატულება პჰოვა იმ უდიდესში რაოდენობრივმა და ოვისობრივმა ცვლილებებმა, რომლებსაც მიაღწია ჩვენმა ქვეყანამ სახალხო მეურნეობისა და კულტურის კულტურული დარგში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუხრელი ხელმძღვანელობის შედეგად.

მოსახლეობის 1939 წლის აღწერის პროგრამა საგრძნობლად განსხვავდებოდა 1926 წლის აღწერის პროგრამისაგან. იგი უკვე აღარ ითვალისწინებდა ადამიანთა ისეთი მაჩვენებლების აღნუსხვას, რომლებიც ეკონომიკისა და კულტურის ღონის შესაბამისად აღარ წარმოადგენს დაკვირვების ინტერესს. სამაგიეროდ საგრძნობლად იქნა გაფართოებული მაჩვენებლები განათლების ღონის შესახებ; გარდა ამისა, 1939 წლის აღწერის სააღწერო ფურცელი, 1926 წლის დაკითხვის პირად ფურცლისაგან განსხვავდებოდა; თვალისწინებლა არა ერთი ადამიანის, არამედ ოჯახთა ფურცლის წევრობისას.



1939 წლის აღწერის მასალების დამუშავება განხორციელდა ბულ იქნა მექანიზირებული წესით ქ. ქ. მოსკოვსა და ლენინგრადში, ხოლო მასალების დაშინებული და დამუშავებისათვის მომზადება შესრულებული იყო მოკავშირე რესპუბლიკების სტატისტიკური სამმართველოების მიერ. საქართველოს მასალის დამუშავებულ შესრულებული იყო ქ. ლენინგრადის მექანიზირებული გამოთვლის ფაბრიკის მიერ.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ 1939 წლის აღწერის მასალების სრულად გამოყენებას და გამოქვეყნებას ხელი შეუშალა ფაშისტური გერმანის ვერაგულმა ოგდასხმამ ჩვენს ქვეყანაზე 1941 წ. იგნისში. 1941 წლის 2 ივნისს საინფორმაციო სახით გამოქვეყნებული იქნა მხოლოდ მოსახლეობის რიცხვი რესპუბლიკების, ოლქებისა და მხარეების, ქალაქებისა და სოფელადგილების მიხედვით, ისეთი მსხვილი ქალაქების გამოყოფით, რომელთა მოსახლეობა 50 ათას სულს აღემატებოდა.

მოსახლეობის 1939 წლის სრულიად საკავშირო აღწერის სააღწერო ფურცელი, გარდა სამისამართო ნაწილისა, შემდეგ კითხვებს შეიცავდა (16 კითხვა):

1. დამოკიდებულება ოჯახის უფროსთან (ცოლი, შვილი, დედა, და, ძმისწული და სხვა).
2. აქ მუდმივად ცხოვრობს თუ დროებით?
3. დროებით მცხოვრებთათვის აღინიშნოს:

  - ა) მუდმივი ბინადრობის ადგილი;
  - ბ) რამდენი ხანია რაც წამოსულია მუდმივი ბინადრობის ადგიგილიდან.

4. მუდმივად აქ მცხოვრებთათვის, მაგრამ დროებით არმყოფთათვის ჩაიწეროს „დროებით არ იმყოფება“ და აღინიშნოს რამდენი ხანია, რაც არ იმყოფება.

5. სქესი (მამრობითი, მდედრობითი).

6. რამდენი წელი შეუსრულდა დაბადებიდან. ერთ წლისაზე უმცროს ბავშვებისათვის კი — რამდენი თვე?

7. ეროვნება ბა.
8. დედა ან ბა.
9. ქორწინებაში იმყოფება თუ არა?
10. რომელი სახელმწიფოს მოქალაქეა?
11. წერა-კითხვის ცოდნა:

  - ა) კითხულობს და წერს, თუ მხოლოდ კითხულობს რომელსამე ენაზე;
  - ბ) თუ სრულიად უცოდინარია წერა-კითხვისა.

12. მოსწავლეთათვის აღინიშნოს:

- ა) სასწავლებლის, სკოლის ან კურსების სრული სახელწოდება;
- ბ) რომელ კლასში ან რომელ კურსზეა (კურსებისათვის, სწავლის ერთ წელზე ნაკლები ხანგრძლივობით, ჩაიწეროს „მოკლევად“).

13. დაამთავრა თუ არა საშუალო ან უმაღლესი სკოლა (ჩაიწეროს „საშ.“, „უმ.“).

14. მოსაქმეობა (სამსახური) ამჟამად ან საარსებო საშუალებათ სხვა წყარო.

15. მუშაობის ადგილი (საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწერებულების სახელწოდება).

16. რომელ საზოგადოებრივ ჯგუფს ეკუთვნის: მუშაობის, მოსახურეების, კოლმეურნეების, კოპერიტობული შინამრეწველების, ერთბიროვნული გლეხების, არცონპერიტობული შინამრეწველების, თავისუფალი პროფესიის პირების თუ კულტის მსახურთა და არამშრომელი ელემენტების ჯგუფს?

საარწერო ფურცელი გათვალისწინებული იყო რვა სული ადამიანის ჩასაწერად — ერთი მეურნეობის ან ოჯახის მცხოვრებთათვის ცალკე.

1939 წლის ოქტომბრის ცნობებით სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის რიცხვი 1939 წლის საზღვრებში შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა — დასაობით:

	ქალაქის.	სოფლის	სულ	1939 წ. %
				1926 წ.-თან.
1. რუსეთის სსრ	— 36658,0	72620,6	109278,6	116,9
2. უკრაინის სსრ	— 11195,6	19764,6	30960,2	106,6
3. ბელარუსის სსრ	— 1372,5	4195,5	5568,0	111,7
4. აზერბაიჯანის სსრ	— 1160,7	2049,0	3209,7	138,7
5. საქართველოს სსრ	— 1066,6	2475,7	3542,3	132,3
6. სომხეთის სსრ	— 366,4	915,2	1281,6	145,4
7. თურქენეთის სსრ	— 416,4	837,6	1254,0	125,6
8. უზბეკეთის სსრ	— 1445,0	4837,4	6282,4	137,6
9. ტაჯიკეთის სსრ	— 251,9	1233,2	1485,1	143,9
10. ყაზბეგის სსრ	— 1706,1	4439,8	6145,9	101,2
11. ყირგიზეთის სსრ	— 270,6	1188,7	1459,3	145,7
სულ სსრ კავშირში	55909,9	114557,3	170467,2	115,9

სსრ კავშირის მოსახლეობის მთელი რიცხვიდან ქალაქის მოსახლეობა 32,8 პროცენტს შეადგენდა (1926 წ. — 17,9%), სოფლის — 67,2 პროცენტს (1926 წ. — 82,1%). მოსახლეობის მთელ ქამში მამაკაცები — 48,2 პროცენტს შეადგენდნენ, ქალები 51,8 პროცენტს.

როგორც ზემოდასახელებული მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს მოსახლეობა 1926 წელთან შედარებით გაცილებით მეტი ზრდას იძლევა, ვიდრე სსრ კავშირის მთელი მოსახლეობა. საგრძნობლად გაიზარდა ქალაქ ადგილების მცხოვრებთა რიცხვი (+79,5%), რაც უშუალო შედეგია იმ ღონისძიებებისა, რომლებსაც ატარებდა საბჭოთა მთავრობა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოციალისტური მშენებლობის აღმავლობის საქმეში, აღნიშნული ფაქტორების გამო მნიშვნელოვნად გადიდდა ქალაქის მცხოვრებთა ხევდრითი წონა მთელ მოსახლეობაში. ასე, მაგალითად, თუ 1897 წლის ოქტომბრით სსრ კავშირში ქალაქის მცხოვრებთა პროცენტი 14,8 არ აღემატებოდა, ხოლო 1926 წლის ოქტომბრით — 17,9-ს, 1939 წლის ოქტომბრის მიხედვით იგი 32,8-მდე გაიზარდა. შესაბამისად შემცირდა სო-

ფლის მოსახლეობის ხვედრითი წონა (1897 წ. — 85,2%, 1926 წ. — 82,1%, 1939 წ. — 67,2%).

საქართველოში ქალაქის მოსახლეობის ხვედრითმა წონამ 1939-წლისათვის 30,1 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად 22,3 პროცენტი სა 1926 წლისათვის და 16,3 პროცენტისა 1897 წლისათვის.

1926 წელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის და ქ. თბილისის მოსახლეობაც. 1939 წლის აღწერით აფხაზეთის ასსრ მოსახლეობა 312,0 ათას კაცს შეადგინდა (1926 წ. 201,0 ათასი), აჭარის ასსრ — 200,7 ათასს (1926 წ. — 132,0 ათასი), სამხრეთ ოსეთის ა. ო. — 106,0 ათასს (1926 წ. 87,4 ათასი), ქ. თბილისისა — 519,2 ათასს (1926 წ. — 294,0 ათასი), ქ. თბილისის მოსახლეობის ზრდამ 1926 წელთან შედარებით, ე. ი. 12 წლის მანძილზე, 76,6 პროცენტი შეადგინა.

1939 წლისათვის შესაბამისად გაიზარდა მოსახლეობის სიმჭიდროვეც. თუ 1926 წელს სიმჭიდროვის კოეფიციენტი ერთ კვადრ. კილომეტრზე 38,7 სულს უდრიდა, 1939 წლისათვის მან, დაახლოებით, 51 სული შეადგინა.

1939 წლისათვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რესპუბლიკის მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობის (თანაშეფარდების) მაჩვენებლები 1926 და 1897 წლებთან შედარებით.

სქესობრივი შემადგენლობა (თანაშეფარდება) 1897, 1926 წ. წ. აღწერების მიხედვით შემდეგ სურათს იძლეოდა პროცენტებში:

	მამრობითი	მდედრობითი
1897 წელი	53,4	46,6
1926 „	50,5	49,5

თუ აღნიშნულ წლებში მამაკაცები სჭარბობდნენ მოსახლეობის მთელ ჯამში, 1939 წელს თანაშეფარდება ქალების სასარგებლოდ შეიცვალა.

მოსახლეობის აღწერის პროგრამის ერთ-ერთ მთავარ კითხვას წლოვანება წარმოადგენს. ამ ნიშნის მიხედვით მოსახლეობის შესწავლას უაღრესად დიდი პრაქტიკული და ოკორიული მნიშვნელობა ენიჭება (შრომის უნარიანი ან სკოლის ასაკის მოსახლეობის დადგენა, შრომის ბალანსების შედგენა, მოკვდაობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის კოეფიციენტების გამონაგარიშება და სხვა). კერძოდ, 1939 წლის აღწერის მასალები დამუშავებული იყო თითოეული ასაკის ცალკე გაუფეხად 99 წლამდე, ქალაქის, სოფლისა და სქესობრივი შემადგენლობის მიხედვით. მასალის დამუშავება განხორციელებული იყო აგრეთვე მსხვილ ასაკობრივ ჯგუფებადაც (7 წლამდე, 8-11 წლ., 12-14 წლ., 15-19 წლ., 20-29, 30-39, 40-49, 50-59, 60-69, 70-79, 80-89, 90-99, 100 წლის და უხესი), 1939 წლის აღწერის მასალების ასაკობრივი დამუშავებიდან განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას. ორი მომენტი: ერთი ის, რომ ბავშვთა და მოზარდთა

ჩიცხვს საგრძნობი ხელი ეჭირა მოსახლეობის მთელ ჯამში, რაც ძირითადად 1923-1938 წლების მანძილზე დაბადების ზაღალი დონით აიხსნება; მეორე ის, რომ 1939 წლის აღწერის დროსაც ჰქონდა აღგილი აღმწერთა მიერ შესრულებულ წელთა რაოდუნობის შესახებ დასმულ კითხვაზე არა ზუსტი პასუხის გაცემის შემთხვევებს უფროსი ასაკის მოსახლეობის ნაწილის მიერ. ამით აიხსნება ის, რომ 60, 70, 80, 90 წლიანები 3-4-ჯერ მეტი აღმოჩნდნენ, ვიდრე 59, 69, 79, 89 წლიანები, თუმცა სინამდვილეში უმცროსი ასაკის პირი მეტი უნდა ყოფილიყვნენ, ვიდრე უფროსი ასაკის მოსახლეობა.

### დავსახელოთ რამდენიმე ჩიცხვი — ათასობით:

59 წლის	16,0
60 "	46,9
69 "	6,8
70 "	25,6
79 "	3,2
80 "	15,9
89 "	1,0
90 "	5,7

ამ მხრივ კიდევ უფრო ცუდ სურათს ჰქონდა ადგილი 1926 წლის აღწერის შედეგების მიხედვით.

აქედან გამომდინარე, ამთავითვე უნდა იქნას მოსახლეობაში გაშლილი სათანადო მუშაობა, რომ მსგავს შემთხვევებს (ასაკის დამრგვალებას) არ ექნას ადგილი 1959 წლის აღწერის დროს.

რესპუბლიკის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა 1939 წლის აღწერის მონაცემებით დაახლოებით ისეთივე მაჩვენებლებით ხასიათდებოდა, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირის მიხედვით.

სსრ კავშირის მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის სტრუქტურა 1939 წლის აღწერის ცნობების თანახმად შემდეგ სურათს იძლეოდა — პროცენტებში: 7 წლიდე 28,6 %, 8-11 წლ.—9,7 %, 12-14 წლ.—7,9 %, 15-19 წლ.—8,9 %, 20-29 წლ.—18,0 %, 30-39 წლ.—14,9 %, 40-49 წლ.—9,0 %, 50-59 წლ.—6,4 %, 60 წლ. და უხენები — 6,6 % (საქართველოში 8,8 %).

12-13 წლის მანძილზე, ე. ი. 1939 წლისათვის, მნიშვნელოვნად შეიცვალა რესპუბლიკის ეროვნული შემადგენლობა. ნაწილობრივ შემცირდა ქართველების ხვედრითი წონა სხვა ეროვნებათა ზრდის ზარჯზე. საგრძნობლად გაიზარდა რუსების რიცხვი და პროცენტი.

1939 წლის აღწერით საქართველოში მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურა 1926 წელთან შედარებით შემდეგი მაჩვენებლებით ხა-

სიათდებოდა — პროცენტებში:

	1939 წ.	1926 წ.
ქართველები	61,4	67,2
სომხები	11,7	11,6
რუსები	8,7	3,6
აზერბაიჯანელები	5,3	5,2
ოსები	4,2	4,3
ბერძნები	2,4	2,5
აფხაზები	1,6	2,1
უკრაინელები	1,3	0,5
ებრაელები	1,2	1,2
დანარჩენი ეროვნებანი	2,2	1,8
სულ	100,0	100,0

საინტერესო სურათს იძლევა 1939 წლის აღწერით რესპუბლიკის მოსახლეობის განაწილება დედაენისა და შესაბამის ეროვნებათა ხვედრითი წონების მიხედვით — პროცენტებში:

1. ქართველები	61,4
ქართ. დედაენით	65,1
2. სომხები	11,7
სომხ. დედაენით	8,6
3. რუსები	8,7
რუს. დედაენით	10,5
4. აზერბაიჯანელები	5,3
აზერბ. დედაენით.	6,1
5. ოსები	4,2
ოსურ. დედაენით	3,9
6. ბერძნები	2,4
ბერძნ. დედაენით	1,5
7. აფხაზები	1,6
აფხაზ. დედაენით	1,5
8. უკრაინელები	1,3
უკრ. დედაენით	1,0
9. ებრაელები	1,2
ებრ. დედაენით	0,1

აღნიშნული მაჩვენებლებიდან ირკვევა, რომ ქართულ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობას 3,7 პროცენტით მეტი ხვედრითი წონა ეჭირა მცხოვრებთა მთელ ჯამში, ვიღრე თვით ქართველებს, ასევე ითქმის რუსული და აზერბაიჯანული ენების შესახებ. შებრუნებულ სურათს აქვს ადგილი სომხურ, ბერძნულ, ოსურ, აფხაზურ, უკრაინულ და ებრაულ ენებში. შესაბამის ეროვნებათა ნაწილს თავის დედაენად სხვა ეროვნების ენა დაუსახელებია. მსგავს შეფარდებას ჰქონდა ადგილი 1926 წელშიაც.

1926-1939 წლების მანძილზე საგრძნობლად შეიცვალა რესპუბლიკის მოსახლეობის წერა-კითხვის მცოდნეობის დონე. წერა-კითხვის მცოდნეთა ხვედრითმა წონამ მოსახლეობის საერთო რიცხვში (ბაგშვებისა და მოხუცების ჩათვლით) 1939 წლისათვის 68,1 პრო-

ცენტს მიაღწია, (1926 წ. — 36,7%). 1939 წელს 7 წლისა და უფრო როს ასაკობრივ ჯგუფში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვება 80,6 პროცენტი შეადგინა, ხოლო 9 წლისა და უფრო როს ასაკობრივ ჯგუფში — 82,8 პროცენტი (1926 წ. — 47,5%).

9 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით წერა-კითხვის მცოლნეთა ჩიცხვი შემდეგ მონაცემებით ხასიათდებოდა — პროცენტებში:

	1939 წ.	1926 წ.
რუსეთის სსრ	81,9	55,0
უკრაინის სსრ	85,3	57,5
ბელორუსის სსრ	78,9	53,1
აზერბაიჯანის სსრ	73,3	25,2
საქართველოს სსრ	82,8	47,5
სომხეთის სსრ	73,8	34,5
თურქმენეთის სსრ	67,2	12,5
უზბეկეთის სსრ	67,8	10,6
ტაჯიკეთის სსრ	71,7	13,7
ყაზახეთის სსრ	76,3	22,8
ყირგიზეთის სსრ	70,0	15,1
მთლიანად სსრ კავკირში	81,2	51,1

საქართველოს სსრ 1939 წლის ოწყერის შედეგების მიხედვით  
მოკავშირე რესპუბლიკებს შორის პირველი აღვილი ეჭირა უმაღლე-  
სი და საშუალო განათლების მქონე მოსახლეობის ხვედრითი წონის  
მიხედვით. — ათას სულ მცხოვრებზე მოდიოდა:

	უმაღლესი გა- ნათლებით	საშუალო გა- ნათლებით
რუსეთის სსრ	6,5	76,8
უკრაინის სსრ	7,2	94,6
ბელორუსიის სსრ	4,5	78,0
აზერბაიჯანის სსრ	6,7	73,2
საქართველოს სსრ	11,2	113,4
სომხეთის სსრ	5,8	81,5
თურქეთის სსრ	3,2	46,2
უზბეკეთის სსრ	3,1	38,5
ტაჯიկეთის სსრ	2,0	27,1
ყაზახეთის სსრ	4,5	59,9
ყორღიშეთის სსრ	2,2	32,5
სომ სსრ კავშირში	6,4	77,7

საწარმოო ძალთა სწრაფება განვითარებამ და სოციალისტური მშენებლობის მაღალმა ტემპებმა საგრძნობლად შეცვალეს 1926-1939 წლების მანძილზე მოსახლეობის ძირითადი მაჩვენებლები მოსაქმეობის შესახებ; ძირითადი შეიცვალა კლასობრივი სტრუქტურა, დიდად გაიზიარდა მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვი, გამრავლდა შრომის დარგებისა და პროფესიების ნუსხა. ყოველივე ამან თავისი ასახვა ჰქონდა 1939 წლის ოწერის მასალებში.

1939 წლისათვის რესპუბლიკის მოსახლეობა შემდეგნაირად ნაწილდებოდა საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით — პროცენტებში:

სულ (ოჯახის შევრთა ჩავლით)	მათ შორის მოსახლეობის მქონე
100,0	100,0

სულ მოსახლეობა	მუშები	20,1
მთ შორის:		
მუშები	19,5	20,1
მოსახლეობის შემცირები	17,2	16,2
კოლეგიუნენი	51,0	49,6
კომპ. შინაგაბრიველი	1,9	2,1
არაკომპ. შინაგაბრიველი	1,4	1,1
ერთბირ. გლეხები და სხვა	9,0	10,9
მოსახლეობის მქონე მოსახლეობის განაწილება სახალხო მეურნეობისა და შრომის დარგების მიხედვით 1939 წლის აღწერით შემდეგ სურათს იძლეოდა — პროცენტებში:		

სულ მოსახლეობის მქონე მოსახლეობა ბა (1520,0 ათასი)	100,0
მთ შორის:	
სატყეო მეურნეობა	0,7
სოფლის მეურნეობა	62,2
მრეწველობა	11,1
მშენებლობა	3,9
ტრანსპ. და კავშირგაბმულობა	3,7
ვაჭრობა, დიზაინ. და სტუდიება	4,3
საბინაო და კომუნ. მეურნეობა	1,3
სახ. დაწ. პარტ. და საზ. ორგან.	3,2
ჯამშრთელობის დაცვა	2,3
განათლება, კულტ. და ხელონება	4,5

#### IV. ქ. თბილისის მოსახლეობა და მისი შემადგენლობა

საჭიროდ მიგვაჩნია ცალკე შევეხოთ ქ. თბილისის მოსახლეობას. 1926 წლის აღწერით თბილისის მოსახლეობა, ჯპრის ნაწილების ჩათვლით, 294.044 სულს შეადგენდა. საინტერესო სურათს იძლევა თბილისის მცხოვრებთა ზრდის ტემპები უკანასკნელი 30 წლის მანძილზე, ე. ი. 1897 წლის აღწერიდან 1926 წლის აღწერამდე.

1897 წლის აღწერით თბილისის მოსახლეობა 159.590 სულს უდრიდა. 1922 წლის აღწერით — 233.958 სულს. დასახელებული მაჩვენებლების შედარებიდან ჩანს, რომ თბილისის მცხოვრებთა რიცხვი 1897 წლიდან 1922 წლამდე 74,4 ათასი სულით გაზრდილა, ხოლო 1922 წლიდან 1926 წლამდე — 60,0 ათასი სულით. მაში, თუ წინა 25 წლიანი პერიოდის მანძილზე ქ. თბილისის ყოველწლიური ნამატი 3 ათას კაცს არ აღემატებოდა, გასაბჭოების პირველ 4-5 წლებში მისი ყოველწლიური საშუალო ზრდა დასხლოებით 15 ათას კაცს შეადგენდა. ასეთი მაღალი ზრდის ტემპები შედეგი იყო იმ უდიდესი ღონისძიებებისა, რომლებსაც ახორციელებდა საბჭოთა ხელისუფლება დედაქალაქის ეკონომიკის აღმავლობისათვის, რასაც ბუნებრივია, თან ახლდა მოსახლეობის დიდი ლტოლვა ქალაქისაკენ როგორც რესპუბლიკის სოფელადგილების, ისე მეზობელი რესპუბლიკებისა და ოლქების ხარჯზე.

1939 წლის აღწერით ქ. თბილისის მოსახლეობა 519.175 კაცს

**შეადგენდა.** 1926 წელთან შედარებით მოსახლეობის ნამატება 225,4 ათასი სული შეაღენია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქ. თბილის 1926 წლიდან 1939 წლამდე ყოველწლიურად დაახლოებით 19 ათასი კაცი ემატებოდა. ამ ხნის მანძილზე თბილისის ყოველწლიური ზრდის საშუალო კოეფიციენტი 4,8 პროცენტს შეადგენდა. ასეთი კოლოსალური ზრდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაძლიერდები იყო სოციალისტური მშენებლობის ხუთწლედების პერიოდში მრეწველობისა და მშენებლობის კიდევ უფრო მაღალი ტემპებით.

შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქ. თბილისის მოსახლეობა ასეთი მაღალი ტემპით გაიზრდებოდა 1939 წლის შემდეგაც. რესპუბლიკის სტატისტიკური სამმართველოს სავარაუდო გაანგარიშებით თბილისის მცხოვრებთა რიცხვი 1956 წლის დასაწყისისათვის 635 ათასი შეადგენდა. მაშასადამე, 17 წლის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მოსახლეობა 116 ათასი სულით გიზარდა, ყოველწლიური ნაიმატი დაახლოებით 7 ათას კაცს არ აღემატებოდა, ნაცვლად 19 ათასისა 1926-1930 წლების მანძილზე. ქალ. თბილისის მოსახლეობის ზრდის შედარებითი შენელების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად 1941-45 წლების მსოფლიო ომი უნდა ჩაითვალოს. საქართველოს დედაქალაქმა, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებმა და რაიონებმა, ჯეროვანი მსხვერპლი გაიღო სამამულო მშეში... სხვა მიზეზთა შორის აღსანიშნავია ისიც, რომ მრეწველობისა და მშენებლობის ზრდა თბილისში ბოლო ხანებში ძირითადად ხორციელდება წარმოების მექანიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ადამიანთა შინაგანი თვისუფალი რესურსების წარმოება-დაწესებულებებში ჩაბმის გზით, რაც საშუალებას იძლევა, ნაწილობრივ მაინც, იქნას ლიმიტირებული თბილისის მოსახლეობის მექანიკური ზრდა სხვა რაიონებისა და ქალაქების ხარჯზე. რესპუბლიკის სტატისტიკური სამმართველოს ვარაუდით თბილისის მოსახლეობის ყოველწლიური ზრდა უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე არ აღემატებოდა 12-14 ათასს, ანუ საშუალოდ 2 პროცენტს. ამავე დროს, გათვალისწინებული უნდა იქნას ისიც, რომ ქ. თბილისისათვის მოსახლეობის ყოველწლიური ზრდა, თუნდაც ორი პროცენტის რაოდენობით, არ შეადგენს პატარა ციფრს. იმისათვის, რომ დაკმაყოფილებული იქნას მცხოვრებთა მხოლოდ ნამატი შესაბამისი საბინაო ფონდით, ყოველწლიურად უნდა იქნას აგებული თბილისში დაახლოებით 120 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი (თუნდაც, რომ არ გვითვალისწინოთ არსებული საბინაო პირობების გაუმჯობესება და აგრეთვე ის, რომ ყოველწლიურად გამოდის წყობიდან ძველი საბინაო ფონდის გარკვეული ნაწილი).

ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ დავსახელებთ ზოგიერთ ძირითად ციფრობრივ მონაცემებს ქ. თბილისის მოსახლეობის, შემადგენლობის შესახებ სქესის, ასაკის, წერა-კითხვის მცოდნეობის, დედანის, ეროვნებისა და მოსაქმეობის შესახებ.

ქ. თბილისის მოსახლეობის განაწილება სქესის მიხედვით 1897, 1926, 1939 წლების აღწერებით შემდეგ სურათს იძლეოდა —

ათასობით:

	1897 წ.	1926 წ.	1939 წ.
მაზრობითი			
აბსოლუტური	95,2	147,3	250,9
%	59,6	50,1	48,3
მდედრობითი			
აბსოლუტური	64,4	146,7	268,3
%	40,4	49,9	51,7
სულ			
აბსოლუტური	159,6	294,0	519,2
%	100,0	100,0	100,0

თუ 1897 წელს მამაკაცების რიცხვი საგრძნობლად სჭარბობდა დედაქაცების რიცხვს, ხოლო 1926 წლის აღწერის დროს თითქმის გათანაბრდა მათი რიცხვი, 1939 წლის ცნობებით შეფარდება მამაკაცებსა და ქალებს მორის ქალთა სასარგებლოდ შეიცვალა. ყოველ 1.000 მამაკაცზე 1897 წელს — 678 ქალი მოდიოდა, 1926 წელს — 996, ხოლო 1939 წელს 1.069 ქალი.

თბილისის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა 1897, 1922, 1926 და 1939 წლების აღწერების მიხედვით შემდეგი მონაცემებით ხასიათდება — პროცენტებში:

	1897 წ.	1922 წ.	1926 წ.	1939 წ.
ქართველები	26,4	34,6	38,2	44,0
სომხები	29,5	36,5	34,1	26,5
რუსები, უკრაინელები				
და ბელორუსები	29,8	16,5	16,3	19,4
ებრაელები	1,8	3,7	3,1	2,7
გერმანელები	1,8	1,0	1,1	1,1
დანარჩენი ეროვნებანი	10,7	7,7	7,2	6,3

აღნიშნული ცხრილით სარგებლობის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ ამა თუ იმ ეროვნების ხელითი წონის შედარებითი შემცირება მოსახლეობის საერთო ჯამში გაგებული არ უნდა იყოს როგორც აბსოლუტური რიცხვის შემცირება. შაგალითად, სომხების ხელითი წონა თბილისში 1926 წლიდან 1939 წლამდე 7,6 პროცენტით შემცირდა, მაშინ, როდესაც მათი აბსოლუტური რიცხვი კი არ შემცირებულა, არამედ, პირიქით, გაიზარდა.

საინტერესო სურათს იძლევა მოსახლეობის განაწილება ეროვნებათა და დედაენათა ხედრითი წონების მიხედვით მოსახლეობის საერთო რიცხვში — პროცენტებში:

	1926 წ.	1939 წ.
1. ქართველები	38,2	44,0
ქართ. დედაენით	44,3	50,0
2. სომხები	34,1	26,5
სომხ. დედაენით	27,7	18,4
3. რუსები	15,8	18,0
რუს. დედაენით	19,9	24,9
4. აზერბაიჯანელები	2,0	1,1
აზერბ. დედაენით	2,2	1,1

დასახელებული მონაცემების განხილვის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ინსტრუქციის თანახმად დედაენად, როგორც წესი, სალაპარაკო ენა უნდა ყოფილიყო ნაჩვენები. ამის გამო ცალკეულ ეროვნებათა მიერ სალაპარაკო ენად დასახელებული ყოფილა სხვა ეროვნების ენა. ამით აისხება ისიც, რომ 1939 წლის პრეზერით ქართველების ხვედრითი წონა თბილისში 44,0 პროცენტი იყო, ხოლო ქართული დედაენა კი უჩვენა მოსახლეობის 50,0 პროცენტმა.

ქ. თბილისი თვალსაჩინოდ განირჩევა ჩვენი ქვეყნის ქალაქებს შორის მოსახლეობის მაღალი კულტურით და განთლების დონით. სათანადო მაჩვენებლებით ხასიათდებან თბილისის მცხოვრები წერა-კიოთხვის მცოდნეობის მხრივაც. ჯერ კიდევ 1926 წელს თბილისში 78,5 პროცენტს შეადგინდნენ წერა-კიოთხვის მცოდნენი 9 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობაში. 1939 წლისათვის წერა-კიოთხვის მცოდნეთა რიცხვი 91,3 პროცენტამდე გაიზარდა.

აღნიშნული ასაკის მოსახლეობაში წერა-კიოთხვის მცოდნეობა სქესის მიხედვით შემდეგი მონაცემებით ხასიათდებოდა — პროცენტებში:

	1926 წ.	1939 წ.
მამაკაცი	83,2	94,7
დედაკაცი	73,2	88,3
სულ	78,5	91,3

ქ. თბილისის მოსახლეობის ასაკობრივი შემაღვენლობა, ისე როგორც რესპუბლიკის შესაბამისი მაჩვენებლები, სხვადასხვა წლებში ერთმანეთისაგან საკმაო განსხვავებულ სურათს იძლეოდა. ასაკობრივ სტრუქტურაზე მთელი რიგი ფაქტორები ახდენენ ზეგავლენას. მათ შორის, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ძირითადს მამაკაცების სამხედრო სამსახურში მასიურად გაწვევა წარმოადგენს, რაც ძალზე უარყოფითად მოქმედებს მშობიარობის დონეზე და მოსახლეობის ბუნებრივ ზრდაზე. მაგალითად, მეორე იმპერიალისტური ომის წლებში დაბადებულთა რიცხვი 2-3-ჯერ ნაკლებია, ვიდრე აღნიშნული ომის წინა ან მომდევნო წლებში დაბადებულთა რიცხვი. აღნიშნული მდგომარეობა სათანადო იქნება ასახული მოსახლეობის 1959 წლის აღწერის მასალებში.

1897, 1926 და 1939 წლების აღწერების მიხედვით თბილისის მცხოვრებათა ასაკობრივი სტრუქტურა შემდეგ სურათს იძლევა — პროცენტებში:

	1897 წ.	1926 წ.	1939 წ.
მთელი მოსახლეობა	100,0	100,0	100,0
მათ შორის:			
0-4 წლის	9,3	10,9	9,4
5-9 "	8,7	7,7	7,7
10-14 "	10,3	8,7	9,8
15-19 "	10,9	11,0	9,9
20-24 "	15,9	13,6	11,1
25-29 "	10,2	10,3	11,4

	1897 წ.	1926 წ.	1939 წ.
30-39 "	—	14,4	15,4
40-49 "	—	9,0	10,1
50-59 "	—	5,5	6,2
60 წლისა და უხენესი	—	5,7	6,1

ვფიქტობთ, ზედმეტი არ უნდა იყოს, თუ განვიხილავთ ქალაქ თბილისის მოსახლეობას მოსაქმეობის და სოციალური მდგრძლეობის მიხედვით.

1926 და 1939 წლების აღწერების მონაცემებით თბილისში წამყვან საზოგადოებრივ ჯგუფს მუშები და მოსამსახურები წარმოადგენენ. 1926 წელს მუშებისა და მოსამსახურეთა რიცხვი მათი ოჯახის წევრების ჩათვლით 58,1 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 1939 წლისათვის ეს პროცენტი 87,0-მდე გაიზარდა. 1926 წელს თვითმოქმედი მოსახლეობის ხევდრითი წონა ქალაქის მოსახლეობის მთელ ჯამში მხოლოდ 38,5 პროცენტს შეადგენდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ერთ თვითმოქმედზე 1,6 არათვითმოქმედი (სარჩენი) მოდიოდა. 1939 წლისათვის 46,3 პროცენტამდე ამაღლდა თვითმოქმედთა ხევდრითი წონა, რის შედეგადაც შედარებით შემცირდა მარჩენალთა დატვირთვის კოეფიციენტი — ერთ თვითმოქმედზე მოდიოდა 1,2 არათვითმოქმედი. თუ 1926 წელს დასაქმებული მუშების რიცხვი 22,3 ათას კაცს შეადგენდა, მოსამსახურები კი — 37,0 ათასს, 1939 წლისათვის მუშების რიცხვმა 94,6 ათას კაცს მიაღწია, მოსამსახურეთა რიცხვმა კი — 88,3 ათასს. 1926 წელს მუშა ქალთა რიცხვი 2,1 ათასი იყო, მოსამსახურებისა კი — 11,9 ათასი, 1939 წელს მუშა ქალები იყვნენ 28,9 ათასი, მოსამსახურე ქალები — 33,3 ათასი.

ასეთია მოკლედ იმდროინდელი თბილისის მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლების დახასიათება.

#### V. მოსახლეობის 1959 წლის აღწერის სამზადისი, პროგრამა და ამოცანები

როგორც მოკლე მიმოხილვით ვავეცანით, 1939 წლის აღწერის შედეგები საქამიან ამომწურველ მასალას წარმოადგენდა მოსახლეობის რაოდენობისა და შემადგენლობის შესწავლისათვის, სახალხო მეურნეობისა და მშრომელთა მატერიალურ - კულტურული დონის მაჩვენებლების შემდგომი დაგეგმვისათვის, მაგრამ აღნიშნული მასალა ხანდაზმულობისა და სხვა მიზეზების გამო საკმაო აღარ აღმოჩნდა სტატისტიკური მასალების მიმართ არსებულ მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. 1939 წლის მასალებით დაკავშირდება შეუძლებელი გახდა თუნდაც 1941-1945 წ. წ. ომთან დაკავშირებული მიზეზებისა და შედეგების გამო.

მეორე მსოფლიო ომმა ჩვენს ქვეყანას უდიდესი ზიანი მიაყენა როგორც მატერიალურად, ისე ადამიანთა მსხვერპლის მხრითაც საბჭოთა ხალხმა მხოლოდ თავდაცებული და გმირული ბრძოლის შედეგად მიაღწია ომისშემდგომ წლებში მეურნეობის ომამდელ

დონის აღდგენას და გადაჭარბებას. წარმატებებს სახალხო შეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში თან ახლავს მოსახლეობის თანმიმდევრული მატება დაბადებათა ზრდისა და სიკვდილის ნობის შემცირების მეოქებით.

ომისშემდგომი ხუთწლედების მანძილზე ეკონომიკისა და ქულტურის განვითარებასთან ერთად მოსახლეობა იზრდებოდა არა მარტო რიცხობრივად, არამედ თვისობრივადაც. ამისათვის, ყოვლად შეუძლებელი შეიქმნა მოსახლეობის ისეთი ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების დადგენა როგორიცაა სქესი, ასევე, მოსაქმეობა, განათლება, ეროვნება, დედაქა და სხვა. ასეთმა მდგომარეობამ სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობის წინაშე დაეყენებია საკითხი მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის ჩატარების აუცილებლობის შესახებ.

ამ დიდი სახელმწიფო ორნისძიების შესახებ სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების პროექტი შედგენილ და მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 1956 წლის ბოლოს ქ. მოსკოვში ჩატარებულ მოკავშირე რესპუბლიკების სტატისტიკური სამმართველოების უფროსების თათბირზე. აღნიშვნული პროექტის მიხედვით სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ იქნა სათანადო დადგენილება 1957 წლის 2 თებერვალს, რითაც გადაწყდა მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის ჩატარება 1959 წლის იანვარში — 15 იანვრის მდგომარეობით. გარდა ამისა, მთავრობის დადგენილება ითვალისწინებდა პირველი რიგის ღონისძიებების განხორციელებას აღწერისათვის მზადების დარგში.

ისმის საკითხი, რატომ იქნა არჩეული აღწერის თარიღიად სახელდობრ 1959 წლის 15 იანვარი. აღნიშვნული რიცხვის არჩევა ძირითადად იმითაა დასაბუთებული, რომ ამ თარიღისათვის 1939 წლის აღწერიდან სრულდება 20 წელი (განსხვავებას მხოლოდ ორი დღე შეადგენს), მეორეც ის, რომ 15 იანვარი ხუთშაბათია (კვირის შუა რიცხვია) და ამ დღეს მოსახლეობის შედარებით ნაკლებ მოძრაობას აქვს ადგილი, გარდა ამისა, გათვალისწინებული იყო ისიც, რომ ზოგადი განათლების სკოლების ქსელში არდადეგები მთავრდება 12 იანვარს და 15 იანვრისათვის შეწყვეტილი იქნება მოსწავლეთა არდადეგებთან დაკავშირებული მოძრაობა.

1959 წლის აღწერის პროგრამა და საორგანიზაციო გეგმა, აგრეთვე აღწერის მასალების დამუშავების პროგრამა განხილულ და დამტკიცებულ იქნა სტატისტიკოსთა სრულიად საკავშირო თათბირზე, რომელიც სსრკ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 2 თებერვლის დადგენილების შესაბამისად ჩატარდა ქ. მოსკოვში 1957 წლის ივნისში. საქართველოდან სტატისტიკოსთა სრულიად საკავშირო თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო თერთმეტმა ამხანაგმა, მათ შორის: მ. ქუთათელაძემ — საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე და მოსახლეობის 1959 წლის აღწერის განყოფილების უფროსი, შ. კაურიამ —

ქ. თბილისის სტატისტიკური სამმართველოს უფროსი  
და რესპუბლიკის სტატისტიკური სამმართველოს უფროსის  
მოადგილე, ტ. კვეკვესკირმა — აფხაზეთის ასსრ სტატისტიკური  
კური სამმართველოს უფროსი, ე. ჭელიძემ — უფროსი  
თის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე აღ-  
წერის დარგში, გ. ნებიერიძემ — აჭარის ასსრ სტატისტიკური სამ-  
მართველოს უფროსი, მ. დიასაბმიძემ — აჭარის ასსრ სტატისტიკური  
სამმართველოს უფროსის მოადგილე აღწერის დარგში, გ. ოვა-  
ნოვა — სამხრეთ ოსთის ა. ო. სტატისტიკური სამმართველოს  
უფროსი, ვლ. მეშვილდიშვილმა — სსრკ ცენტრალური სტატი-  
სტიკური სამმართველოს გორის რაიონსპექტორი, მათთან ერთად  
ამ სტრიქონების ავტორმაც; სსრკ ცენტრალური სტატისტიკური  
სამმართველოს მოწვევით თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მი-  
იღო ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა პროფ. დ. კარბელა-  
შვილმა — სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან  
და შ. შელიამ — ეკონომიკის ინსტიტუტიდან (ამჟამად საქართვე-  
ლოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე).

სტატისტიკოსთა საკავშირო თათბირზე, გარდა მოსახლეობის-  
აღწერისა (მომხსენებელი პ. პოდიაჩიხი — სსრკ ცენტრალური  
სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე და მოსხლე-  
ობის აღწერის სამმართველოს უფროსი), მოსმენილ და განხილულ  
იქნა ორი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი: სახელმწიფო სტატისტი-  
კის წინაშე მდგარი ამოცანების შესახებ სკვპ თებერვლის პლენუ-  
მისა და სსრკ უმაღლესი საბჭოს VII სესიის გადაწყვეტილებებ-  
თან დაკავშირებით (მომხსენებელი ვ. სტაროგვაკი — სსრკ ცენტრა-  
ლური სტატისტიკური სამმართველოს უფროსი) და სახალხო მეუ-  
რნეობის ბალანსის ძირითადი მეთოდოლოგიური პრობლემების  
შესახებ (მომხსენებელი ვ. სობოლი — სსრკ ცენტრალური სტატი-  
სტიკური სამმართველოს სახალხო მეურნეობის ბალანსების გან-  
ყოფილების უფროსი).

საკავშირო თათბირს ესწრებოდნენ და მის მუშაობაში აქტიუ-  
რი მონაწილეობა მიიღეს ჩევნი ქვეყნის მთელმა რიგმა გამოჩენილ-  
მა ეკონომისტებმა, მათ შორის სტრუმინინმა, ნემჩინოვმა, ბოარს-  
კიმ, ნოვიკოვმა, რიაბუშკინმა, პეტროვმა, ვ. კაცმა, ი. მალიძ, მენ-  
დელსონმა და სხვ.

მოსახლეობის 1959 წლის სრულიად საკავშირო აღწერის პრო-  
გრამა ძირითადად შედგენილია 1939 წლის აღწერის პროგრამის  
მიხედვით. ასევე ითქმის აღწერის საორგანიზაციო გეგმის შესა-  
ხებაც.

აღწერის პროგრამა და ფორმულარები შედგენილია იქ ვა-  
რაუდით, რომ მთლიანად მექანიზირებული წესით იქნას დამუშა-  
ვებული აღწერის მასალები.

სააღწერო ფურცელი გათვალისწინებულია ოჯახის ყველა წევ-  
რის აღსაწერად. იგი, გარდა სამისამართო ნაწილისა, თითოეული  
ადამიანის შესახებ, შეიცავს 15 კითხვას, რაც ფორმულირებულია  
შემდეგი სახით:

1. დამოკიდებულება ოჯახის უფროსისადმი (ცოლი, ქარიშვილი, ქაურიშვილი, დედა, და, მმაწმული, დისტული და სხვ).  
2. მუდმივი აქ მცხოვრებთათვის, მაგრამ დროებით არმყოფი “ და აღინიშნოს რამდენიმე მუდმივი აღმოჩენის სანია, რაც არ იმყოფება.

3. დროებით მცხოვრებისათვის აღინიშნოს:  
ა) მუდმივი საცხოვრებელი იდგილი;  
ბ) რამდენი ხანია, რაც წასულია მუდმივი საცხოვრებელი იდგილიდან.

4. სქესი (მმარობითი, მდედრობითი).

5. რამდენი წელი შეუსრულდა, ერთ წელზე უმცროსი ბავშვებისათვის — რამდესი თვე?

6. იმყოფება თუ არა ამჟამად ქორიშებაში.

7. ეროვნება.

8. დედა ა. ა.

9. რომელი სახელმწიფოს მოქალაქეა?

10. განათლება: უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი, საშუალო სპეციალური, საშუალო ზოგადი, შვიდწლიანი, დაწყებითი. 9 წლისა და შეტი ასაკის პირთათვის, რომელთაც არ აქვთ დაწყებითი განათლება, აღინიშნოს: კითხულობს და წერს, ან მხოლოდ კითხულობს რომელიმე ენაზე, თუ წერა-კითხვის სრული უცოდინარია.

11. მოსწავლეთათვის აღინიშნოს იმ სასწავლებლის (ინსტიტუტის, ტექნიკუმის, სკოლის, კურსების) სრული სახელწოდება, რომელშიც იგი სწავლობს.

12. მუშაობის ადგილი (საწარმოს, კოლმეურნეობის, დაწესებულების სახელწოდება); ან მუშაობს თავის მეურნეობაში.

13. მოსაქმეობა ამ სამუშაო ადგილზე (თანამდებობა ან სამუშაო, რომელსაც ასრულებს).

14. თუ არა აქვს მოსაქმეობა, რომელიც შემოსავლის წყაროს წარმოადგენს, აღინიშნოს სარსებო საშუალებათა სხვა წყარო.

15. რომელ საზოგადოებრივ გზუფს ეკუთვნის (მუშა, მოსამსახურე, კოლმეურნე, კოოპერატურული შინამრეწველი, ერთპიროვნული გლეხი, არაკოოპერატურული შინამრეწველი, თავისუფალი პროფესიის პირი, კულტის მსახური).

გარდა აღწერის ფურცლისა, საორგანიზაციო გეგმა ითვალისწინებს საკონტროლო ბლანკს და სხვა დამხმარე ფორმულარებს. საკონტროლო ბლანკი, რომელიც ყველა 15 კითხვას შეიცავს, შედგენილი უნდა იქნეს საკონტროლო შემოვლის დროს იმ პირზე, რომელსაც არ აღმოაჩნდება საბუთი აღწერის გვლის შესახებ.

აღწერის ზემოთ დასახელებული პროგრამა საშუალებას იძლევა საკმაო სისრულით იქნას შესწავლილი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის შემადგენლობა და სტრუქტურა, მთავარი დემოგრაფიული ნიშნების მიხედვით. მაგალითად, სააღწერო ფურცლის პირველი კითხვა პასუხს მოგვცემს ქალაქად და სოფლად ოჯახების რიცხვისა და სიდიდის შესახებ. მეორე და მესამე კითხვების პასუხები

საშუალებას იძლევა დადგენილ იქნას სახეზე მყოფი და მულმიცი მოსახლეობის რაოდენობა სათანაოო მაჩვენებლებით როგორც რესპუბლიკის, ისე ქალაქებისა და რაიონების მიხედვით. მერთები და და მეხუთე კითხვები მოგვცემენ პასუხს მოსახლეობის სტრუქტურაზე და ასაკის მიხედვით განაწილების შესახებ. მეექვსე კითხვა პასუხს იძლევა იმის შესახებ, თუ აღწერის მომენტისავის რამდენი იმყოფება ან არ იმყოფება ქორწინებაში სქესისა და ასაკის მიხედვით. მეშვიდე კითხვა საშუალებას მოგვცემს დაგადგინოთ მოსახლეობის ეროვნული შემადგრენობა, მათი ხევდრითი წონები და კულტურული ღონის მაჩვენებლები. მერვე კითხვის პასუხის საფუძველზე დაჯუფებული იქნება რესპუბლიკის მოსახლეობა დედინის (რაც მეტ შემთხვევაში სალაპარაკო ენას ემთხვევა) მიხედვით. ამ მაჩვენებელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახალხო განათლებისა და ბეჭდვითი ორგანოების საქმიანობის დაცვებისათვის.

ჯერ კიდევ საჭირო მასალას წარმოადგენს მეცხრე კითხვის პასუხი — მოქალაქეობრივი მდგომარეობის შესახებ. მეათე კითხვა საშუალებას მოგვცემს, შევისწავლოთ მოსახლეობის განათლების ღონები ამ კითხვის პასუხის საფუძველზე დადგენილ იქნება ისიც; თუ ამდენი მოლის საშუალო და უმაღლესი განათლების სპეციალისტი ათას სულ მცხოვრებზე. მეთერთმეტე კითხვის მიხედვით გავიგებთ, თუ მოსახლეობის რა ნაწილია. ჩაბმული ამათუ იმ სახის სწავლებაში. მეთორმეტე და მეცამეტე კითხვები წარმოადგენს აღწერის მთავარ და ფრიად საჭირო მაჩვენებლებს. ამ კითხვების პასუხის საფუძველზე შესაძლებლობა გვეჩნება დავაგუფოთ ოვითმოქმედი მოსახლეობა იმის მიხედვით, თუ რა კონკრეტულ სამუშაოს ასრულებს იგი სახალხო მეურნეობისა და შრომის ამათუ იმ დარგში. იმ პირთა შემოსავლის წყაროს შესახებ, რომლებსაც არ აქვთ მოსაქმეობა და არ არიან ჩაბმული მეურნეობის ამათუ იმ დარგში, პასუხს იძლევა მეთოთმეტე კითხვა. მეთხუთმეტე კითხვა კი იძლევა მასალას მოსახლეობის განაწილებისათვის საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით.

როგორც ცნობილია, მოსახლეობის აღწერები ტარდება არა მარტო ჩვენთა — საბჭოთა კავშირში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, მაგრამ საქმე იმაშია, რომ კავიტალისტურ ქვეყნებში ყველა სტატისტიკური სამუშაო და მათ შორის მოსახლეობის აღწერა ექვემდებარება მხოლოდ გაბატონებული კლასის ინტერესებს. ამისათვის იქ აღწერისა და მასალის დამუშავების პროგრამები ცალმხრივად აშეუქებენ მოვლენებს და ვერ იძლევიან ობიექტურ სურათს. კერძოდ, მოსახლეობის აღწერების შედეგები იქ გამოიყენებან არა შრომელთა მასების ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შესასწავლად, არამედ იმისათვის, რომ გატარებულ იქნას ჯეროვანი ლონისძიებანი ბურჯუაზიული სახელმწიფოს და ექსპლოატაციის სისტემის განმტკიცებისათვის. ამავე დროს, იმპერიალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები ხშირად მიმართავენ მოსახლეობის აღწერებისა და სხვა სტატისტიკური მონაცემების

ფალსიფიკაციას, რომ მიჩქმალულ იქნას კაპიტალისტური ხაზოგადოების წინააღმდეგობანი. მაგალითად, თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები უარს არ ამბობენ შეისწავლონ მოსახლეობის კლასიკური შემაღლებისას, მაგრამ კლასის შესწავლას და გაგებას ისინი ამასინჯებენ. ორწერისა და მისი ჯამების დამუშავების პროცესისას საფუძვლად უდებენ კლასის გაგების ბურჟუაზიულ პრინციპს — შემოსავლის ოდენობას, და არა ადამიანთა დამოკიდებულებას საწარმოო საშუალებებთან. ისინი ყოველმხრივ ცდილობენ დაამახინჯონ აგრეთვე ცნობები იმ ადამიანთა რიცხვის შესახებ, რომლებიც არა შრომით შემოსავლით ცხოვრობენ; ხელვნურად ამცირებენ უმუშევართა რიცხვს, განგებ არასწორად აღრიცხავენ ეროვნულ შემადგენლობას და ა. შ.

საინტერესო სურათს იძლევა მოსახლეობის ორწერის ჩატარება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში წლების მიხედვით. ყურადღებას იცყრობს ის ფაქტი, რომ ორწერათა წარმოების სიხშირე ძირითადად ათეულ წლებს ემთხვევა. ასე, მაგალითად, 1880 და 1881 წლებში 27 ორწერა იყო ჩატარებული, 1890 და 1891 წლებში კვლავ — 27 ორწერა, 1900 და 1901 წლებში — 34 ორწერა, 1910 და 1911 წლებში — 35 ორწერა, 1920 და 1921 წლებში — 43 ორწერა, 1930 და 1931 წლებში — 37 ორწერა, 1940 და 1941 წლებში — 39 ორწერა, ხოლო 1950 და 1951 წლებში — კვლავ 39 ორწერა; დანარჩენ წლებზე საშუალოდ — 2-3 ორწერა მოდის.

ომის შემდგომ წლებში მთელ რიგ კაპიტალისტურ და დემოკრატიულ ქვეყნებში რამდენიმეჭერ იქნა ჩატარებული მოსახლეობის ორწერა. ასე, მაგალითად, პოლონეთში ორწერები ჩატარდა 1946 და 1950 წ. წ., იუგოსლავიაში — 1948 და 1953 წ. წ., საფრანგეთში — 1946 და 1954 წ. წ., გერმანიაში — 1946 და 1950 წ. წ., იტალიაში — 1944 და 1951 წ. წ., თურქეთში — 1945 და 1950 წ. წ. და ა. შ. ინგლისში ომისშემდგომი მოსახლეობის ორწერა ჩატარებულ იქნა 1951 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 1950 წელს.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ორწერის ორგანიზაციის მაღალი დონე და პრატიკული გამოცდილების დაგროვება, სტატისტიკოსთა საკავშირო თათბირის რეკომენდაციის შესაბამისად ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ ქალაქებში და რაიონებში ჩატარებული იქნა მოსახლეობის საცდელი ორწერები 1957 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობის მიხედვით. საცდელი ორწერა ჩატარდა მოსკოვის ოლქის ჩეხევის რაიონში, ქ. ლენინგრადის ნევის რაიონში, ნოვოსიბირსკის ოლქის ბოლოტნინსკის რაიონში, დაღესტანის ასსრ ყადაგის რაიონში, ქ. სტალინში, აკმოლინსკის ოლქის სტალინის რაიონში (ყაზახეთის სსრ) და ლატვიის სსრ ტუკუმის რაიონში.

საცდელი ორწერისათვის რაიონები შერჩეულ იქნენ იმის გათვალისწინებით, რომ მათში მოხვედრილიყო ინდუსტრიალური პუნქტებიც, სასოფლო-სამეურნეო რაიონიც, ყამირი მიწების ათვისების ზონის რაიონიც, სხვადასხვა ეროვნებით დასახლებული რაიო-

ნიც, ზოვისპირა დასახლებული ადგილებიც და ხუტორული დასახლების მქონე რაომნიც.

საცდელი აღწერილია მიღებული გამოცდილების საფულეულზე და დამატებით იქნა გადასინჯული აღწერის საორგანიზაციო გამოყენების დამატებით დაზუსტდა სააღწერო და სიინსტრუქტორო უპნების ნორმები.

აღწერის ხანგრძლივობა როგორც ქალაქიდ, ისე სოფლად გათვალისწინებულია 8 დღე. წინა აღწერების დროს ქალაქიდ გაცილებით ადრე იყო გათვალისწინებული აღწერის დამთავრება. ვიდრე სოფლად. მაგალითად, 1920 და 1926 წლების აღწერების დროს ქალაქადგილებში 7 დღეს გრძელდებოდა აღწერა, სოფლად კი—14 დღეს. 1939 წლის აღწერის დროს — ქალაქიდ 7 დღე, სოფლად — 10 დღე.

აღწერის სხვადასხვა ხანგრძლივობა ქალაქიდ და სოფლად გარკვეულ დადებით ფაქტორთან ერთად (სოფლად შედარებით მნიშვნელია მიმოსვლა) ხშირ შემთხვევებში გაუგებობას იწვევს აღწერის კრიტიკული მომენტის დაცვისა და საკონტროლო ბლანკების შედგენის საქმეში.

საორგანიზაციო გეგმის თანახმად ოთხი დღით ადრე, ე. ი. 10 და 14 იანვრამდე, აღმწერი ვალდებულია წინასწარ შემოაროს თავისი სააღწერო უბანი, გააფრთხილოს მოსახლეობა აღწერის შესახებ და ვარაუდისათვის უბის წიგნაკში ჩაინიშნოს დროებითი მობინადრენი.

სააღწერო ფურცლების შედგენა და მოსახლეობის დაკითხვა დაიწყება 15 იანვრის დილით და გაგრძელდება 22 იანვრამდე — ჩათვლით; 23 იანვრილაბა 1 თებერვლამდე იწარმოებს ინსტრუქტორის მიერ საკონტროლო შემოვლა აღმწერთან ერთად, დამატებითი სააღწერო ფურცლისა და საკონტროლო ბლანკების შედგენა გამორჩენილებზე და იმ პირებზე, რომელთაც არ აღმოაჩნდებათ საბუთი აღწერის გავლის შესხებ.

აღწერის დამთავრებისა და წინასწარი ჯამების გამოყვანის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს აღწერის მასალების კონტროლი, დაშიფრვა, ცნობების მანქანური დამუშავებისათვის პერფოკარტებზე გადატანა და დაჯგუფებანი ძირითადი ნიშნების მიხედვით. ამრიგად, აღწერის მასალების პირველადი დამუშავება შესრულებული იქნება მოკავშირე რესპუბლიკების სტატისტიკური სამმართველოების მიერ მანქანასათვლელი სადგურების საშუალებით, რომლებიც ამ მიზნით დაკომპლექტებულია დამატებითი სამანქანო დანადგარებით. აღწერის მასალების საბოლოო დამუშავება კი შესრულებული იქნება ქ. მოსკოვში, რისთვისაც იქ გადაიგზავნება უკვე გამზადებული და დაჯგუფებული პერფოკარტები; თვით ძირითადი მასალა ჩაბარდება რესპუბლიკურ არქივს.

როგორც ცნობილია, აღწერის მაღალ დონეზე ჩატარება მომოანად დამოკიდებულია მოსამზადებელი სამუშაოების დორულად და ხარისხიანად ჩატარებაზე, კერძოდ იმაზე, თუ როგორ იქნება მომზადებული მოსახლეობა აღწერისათვის, როგორ იქნება შერჩეულ

და მომზადებული აღწერის კადრები და რამდენად ზუსტად იქნება შესრულებული სსრკ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 2 თებერვალისა და 1958 წლის 5 მაისის დადგენილებებით გათვალისწინებული ღონისძიებანი მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულ-საბჭოების აღმასკომების მიერ.

კერძოდ, საქართველოში აღწერის მოსამზადებელი სამუშაოების სახით დღემდე ჩატარებულია შემდეგი ღონისძიებანი:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მოსახლეობის აღწერისა და მასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ სათანა-ზო დადგენილება მიღებულ იქნა 1957 წლის 20 მაისს.

აღნიშნული დადგენილების შესაბამისად ჩესპუბლიკის სტატისტიკურ სამმართველოსთან შეიქმნა მოსახლეობის 1959 წლის აღწერის განყოფილება. გარდა ამისა, ონიშნული დადგენილებით დაევალა აფხაზეთისა და აჭარისა ასერ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომებს, მშრომელთა დეპუტატების ქალაქისა და რაიონულ აღმასკომებს, 1958 წლის 1 იანვრამდე დაეზუსტებიათ ქალაქებისა და დაბების საზღვრები, მოეწესრიგებიათ ქუჩების სახელშოდებები და კვარტალებისა და სახლმფლობელობათ ნუმერაცია, დაეზუსტებიათ და შეეღინათ ქალაქადგილების გეგმები და რაიონების რუქები, მოეწესრიგებიათ საბინაო და საკომლო წიგნების წარმოება და სხვა.

სტატისტიკური სამმართველოს მიერ ჩატარებული შემოწმების მასალების საფუძველზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1957 წლის სექტემბერში განხორცებით მიიღო გადაწყვეტილება ონიშნული დადგენილების შესრულების მიმღინარეობის შესახებ და გააფრთხილა ქალაქისა და რაიონის აღმასკომები იმის შესახებ, რომ აუცილებლად ყოფილიყო უზრუნველყოფილი დადგენილი ვალისათვის გათვალისწინებული მოსამზადებელი სამუშაოების შესრულება.

მინისტრთა საბჭოს მიერ, გარდა ამისა, მიღებული იქნა საქართველოს სტატისტიკური სამმართველოს წინადადება ზამთრის პერიოდისათვის ძნელად მისასვლელ რაიონებში და საბჭოებში აღწერის ვადაზე აღრე ჩატარების შესახებ — 1958 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის თვეებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად ვადაზე აღრე აღწერა ჩატარებული იქნება შემდეგ ადგილებში: ახმეტის რაიონის ომალოს საბჭოში (მთა-თუშეთი), დუშეთის რაიონის ბარისახოსა და უკანა ფშავის საბჭოებში (ხევსურეთი), ყაზბეგის რაიონის სიონისა და ტრუსოს საბჭოებში, სტალინის რაიონის ბელოთის, ბიჯარის და გვრის საბჭოებში, სოხუმის რაიონის ფსხუს საბჭოში. აღწერა ვადაზე აღრე იქნება ჩატარებული აგრეთვე ლენინგრადის, გავის, მესტიისა და ლენტეხის რაიონებში მთლიანად.

აღწერის საორგანიზაციო გეგმის შესაბამისად ჩესპუბლიკის სტატისტიკური სამმართველოსა და მისი ადგილობრივი ორგანოების მიერ უკვე შესრულებულია მთელი რიგი მოსამზადებელი ღო-

ნისძიებანი, მათ შორის ქალაქიდგილებში სახლმფლობელობათა უწყებისა და სოფლად დასახლებულ ადგილთა სიების შედგენა-ამასთანავე, გარკვეულ იქნა მოსახლეობის სავარაულო რიცხვი საქართველოში და სოფლების მიხედვით.

სსრკ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 5 მაისის დადგენილების საფუძველზე — „მოსახლეობის 1959 წლის სრულიად საკავშირო ოღწერის შესახებ“, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა პრესაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ა.წ. 28 მაისს, მიღებულ იქნა შესაბამისი დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში მოსახლეობის 1959 წლის სრულიად საკავშირო ოღწერის მომზადებისა და ჩატარების ღონისძიებათა შესახებ“, რომლითაც გათვალისწინებულია სათანადო ღონისძიებანი აღწერის მაღალ დონეზე ჩატარების უზრუნველსაყოფად.

გარდა იმისა, რომ მოსახლეობის აღწერა არის რთული სტატისტიკური სამუშაო და თანაც უდიდესი სახელმწიფოებრივი ღონისძიება, იგი, ამავე ღრის, წარმოადგენს უაღრესად საინტერესო ოპერაციას. თითოეული საბჭოთა მოქალაქე მოუმოენლად ელოდება აღწერის პირველ ჯერებს. ეს გასაგებიცაა. მან უნდა, გაიგოს ჩევნი ქვეყნის მოსახლეობის რიცხვი და მისი შემადგენლობა მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქებისა და რაიონების მიხედვით. მაგალითად, ცალკეულ მოქალაქეებს, ხშირად გამოცდილ ეკანონმისტებსაც კი, ვერ დააჯერებთ იმაში, რომ ქ. თბილისის მოსახლეობა ჯერ კიდევ არ აღმატება 640-660 ათას კაცს, — დაუინებით „ამტკიცებენ“, რომ მისი მოსახლეობა „მილიონზე მეტი იქნება“ და სხვა, თუმცა მსგავს მტკიცებას არავითარი იბიექტური ბაზა არ გააჩნია გარდა უბრალო იკვიატებული აზრისა ან სურვილისა. ყოველივე ასეთ ზოგად ვარაუდებს ამომწურავ პასუხს გასცემს აღწერა. როგორც ქ. თბილისის, ისე რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობის რიცხვი წინასწარი მონაცემებით დადგენილ იქნება თებერვლის შუა რიცხვებში.

აღწერა, პირველ რიგში, დიდად შეუმსუბუქებს მდგომარეობას სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს, რომელთაც უტყუარი ბაზა ექნებათ მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის შემდგომი გაანგარიშებისათვის და ადგილი აღარ ექნება დავას ამათუ იმ ქალაქის და რაიონის მცხოვრებთა ნავარაუდები რიცხვის გარშემო.

აღწერა მოახლოებულია, ხოლო მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული სამზადისი სამუშაოები ზოგიერთ ქალაქებში და რაიონებში ჯერაც არ არის მთლიანად შესრულებული. მეტად დიდი და საპასუხისმგებლო სამუშაოა ჩასატარებელი აღწერის კადრების შერჩევისა და მომზადების, მოსახლეობაში ახსნა-განმარტებით სამუშაოების ფართო გაშლის, აგრეთვე აღწერის ფორმულარების სასტამბო წესით გამრავლების საქმეში.

უნდა ვიმედოვნოთ, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანიზაციის და რესპუბლიკის მოსახლეობა, ისე როგორც ყოველთვის სათანადო პასუხისმგებლობის გრძნობით შეხვდებიან მოსახლეობის საყოველთაო აღწერას და ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს სახულისტიკური სტატისტიკის ორგანოებს იმისათვის, რომ მათმა დამატებითი მიზანი იქნას ჩატარებული ეს დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის დავალება.

---



სარჩევი

I. የዕቃይነት በመሆኑ	3
II. ምርመራው ከ 1926 ዓ.ም. ስርዓት መካከል ማረጋገጫ የዕቃ ደንብ ይፈጸማል	6
III. ምርመራው ከ 1939 ዓ.ም. ስርዓት መካከል ማረጋገጫ የዕቃ ደንብ ይፈጸማል	17
IV. ገ. ተስፋዎች ምርመራው ደንብ ይፈጸማል	24
V. ምርመራው ከ 1959 ዓ.ም. ማረጋገጫ መካከል ማረጋገጫ የዕቃ ደንብ ይፈጸማል	28





ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/IX-58 წ. შე 03679. შე. № 550/2836

ქალალის ზომა 60X92 1/16, სააღრიცხვო-საგამოცემლო ფორმათა რაოდენობა  
2,5, ტირაჟი 10.000.

---

სრატგამოცემლობა, თბილისი, ძერეინსკის ქ. № 22.

„ტრანსუელდორიზდატის“ განყოფილების ა. კ. ჩკინიგზის სტამბა, თბილისი,  
სურამის ქ. № 13.

ფახი 1 მას. 25 კაბ.

726/275



**А. Н. Хачидзе**

Население Грузии по переписям 1926, 1939 гг.  
и задачи Всесоюзной переписи 1959 года  
на грузинском языке"